726 ✓ 8188

ცისკარი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 13 (245) გამოცემის მე-14 წელი. 1970 წლის 10 ივლისი

კიდევ ერთი გამარჯვება



საქართველო ჩაის ქვეყანაა. ქართველი მეჩაიეები კი ისევე არიან განთქმულნი, როგორც ჩვენი მევენახეები, მეხილეები, მესიმინდეები...

მათი შრომის ფერხული ცეცხლოვანი, თავდადებული, დაძაბულია. საკმარისია ყურადღების თუნდაც ერთი წუთით მოდუნება და ძალზე ბევრი დაიკარგება.

მეჩაიეს შრომა მძიმეა და ამიტომაც ძალზე საპატიოა.

— ჩემდა სამარცხვინოდ, საქართველოში ჩამოსვლამდე არ ვიცოდი, რა მძიმეა თქვენი შრომა. აი ამიტომ განსაკუთრებით მოგეალმებით და გულითადად გეხვევით — ამ სიტყვებით მიმართა ქართველ მეჩაიეებს მიხეილ შოლოხოვმა 1964 წელს.

ჩვენს მეჩაიეებს დღეს ყველაზე დიდი ზეიმი აქვთ — მათ 6 ივლისისათვის, ესე იგი, ვადამდე დიდი ხნით ადრე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა. უკანასკნელი ოთხნახევარი წლის მანძილზე მოკრიფეს და ჩაბარეს 1.058.500 ტონა ჩაის ფოთოლი!

ეს საქართველოს მშრომელთა დიდი გამარჯვებაა. ამ ციფრების უკან ათასობით მშრომელის — ზუგდიდელ თამარ უუფუნიასა და მახარაძელ ტატიანა ჩხაიძის, ქობულეთელ ქეთევან გოგიტიძისა და წულუკიძელ დალი წივწივაძის, ლანჩხუთელ ლამარა ჩხაიძის, გალელ მერი კაკავასა და სხვა მრავალთა თავდადებული შრომაა. საამაყოა, რომ ასეთ დიდ წარმატებაში საგრძნობი წვლილი შეიტანა ჩაის საკრეფმა მანქანამ „საქართველომ“, მანქანამ, რომელიც მსოფლიოში პირველად ჩვენს პლანტაციებში აგუგუნდა.

მოლოცვებსა და გმირთა შესაქებად ნათქვამ სიტყვებს ბოლო არ უჩანს. ვისაც კი ერთხელ მაინც დაულევია ქართული ჩაი, ჩვენი წარმატება გულწრფელად ახარებს. სწორედ ქართულ ჩაისთან პირველსავე შეხვედრამ დააწერინა შვეიცარიიდან ჩამოსულ სტუმარს ერნსტ გაზერს ასეთი სიტყვები — „არ შეიძლება დავივიწყო ის დიდი სიამოვნება, რაც ჩაის სახლში განვიცადე, მე თქვენთან გავეცანი ქართულ ჩაის, უაღრესად არომატულს და ახლა ყველგან სიამოვნებით ვსვამ მას“. კოსმონავტებმა ვალენტინა ტერეშკოვამ და ანდრიანე ნიკოლაევმა კი ჩვენთან სტუმრობისას ჩაის სახლის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერეს: „ყოველი პროფესია საპატიო და სასიამოვნოა. თქვენს პროფესიაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ამასთან ერთად გემრიელიც არის“.

მოპოვებულია დიდი წარმატება, მაგრამ ქართველ მეჩაიეთა ხვალინდელი დღე კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს გვპირდება.


ხუთწლედების მარშის ერთი თვალის გადავლებაც ჩვენს ნათქვამში ადვილად დაგარწმუნებთ. 1928-1932 წლები — ქართველმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 3.348 ტონა ჩაი; 1933-1937 წლები — ჩვენი რესპუბლიკა სახელმწიფოს 64.900 ტონა ჩაის აბარებს; 1946-1950 წლები—მეჩაიეთა შრომითი მაჩვენებელი კვლავ იზრდება და იკრიფება 248.900 ტონა ჩაი; 1951-1955 წლები — მოკრეფილია ნახევარ მილიონ ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ჩაი; 1959-1965 წლები (შვიდწლედი) — ქართველმა მეჩაიეებმა 1.178.300 ტონას მიაღწიეს.

რა თქმა უნდა, მომავალში მეჩაიეთა შრომაში გადამწყვეტ სიტყვას ჩაის საკრეფი მანქანა იტყვის. ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გივი კიკვაძემ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში გადაიღო, აღბეჭდილია ჩაის მკრეფავი თამარ ჭინჭარაძე, რომელმაც წლეულს თავისი „რკინის რაშით“ უკვე მოკრიფა 15 ტონაზე მეტი ჩაი.

საინტერესოა ერთი დეტალი. მანქანას ავტომატური მძღოლი მართავს, თამარი კი ან შორიდან ადევნებს თვალს მის მუშაობას, ან წინ მიუძღვის და დროდადრო ბუჩქებს ბალახ-ბულახისაგან ათავისუფლებს. ასეთი სამართავი ჯერჯერობით ბევრ მანქანას არ გააჩნია. მომავალში ისინი პირველ რიგში იმ მანქანებზე დაიდგმება, რომლებსაც ქალები მართავენ, ხოლო შემდეგ ყველა ჩაის საკრეფი მანქანა უმძღოლოდ იმუშავებს.

გაივლის რამდენიმე წელიწადი და მეჩაიეთა შრომას აღარავინ უწოდებს მძიმეს, თუმცა საპატიო და ძალზე საჭირო იგი ყოველთვის იქნება.

პირველი ოქროს მედალი



დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე მკითხველს ვთავაზობთ ინტერვიუს პარიზში ახლახან დახურული საბჭოთა გამოფენის შესახებ, სადაც საქართველო დამოუკიდებელი ექსპოზიციით იყო წარდგენილი.

სურათზე: საქართველოს გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ვალორისე... საფრანგეთის კერამიკის ამ უძველეს ქალაქში ტრადიციულად ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა მხატვრული კერამიკის მსოფლიო გამოფენა. წლეულსაც ივნისში გაიმართა მორიგი გამოფენა-კონკურსი. მკაცრი და აკადემიური ჟიურის შემადგენლობაში პიკასოც იყო. გამოფენაზე თითოეულ მხატვარ-კერამიკოსს სამი ნამუშევარი უნდა წარედგინა. საბჭოთა კავშირიდან თერთმეტი ავტორის ნამუშევარი გაიგზავნა. მათ შორის იქვსი ქართველი მხატვრისა — ნანი კიკნაძისა და მედეა ჩიხლაძის ერთობლივი, სოლომონ ადიკაშვილის, ირინე გაჩეჩილაძის, რეზო მეტრეველის, აღლე კაკაბაძის და ელენე მეგრელიშვილის კერამიკული ნიმუშები. ქართველ მხატვარ-კერამიკოსთა ნატიფი გემოვნებით გამოძერწილმა, ეროვნულ მოტივებზე შექმნილმა, დახვეწილმა და მეტად ორიგინალურმა ნამუშევრებმა მოხიბლეს ფრანგი მასპინძლები და ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურეს. განსაკუთრებით აღინიშნა რეზო მეტრეველის ორი დოქი და ხილის ლარნაკი აღდგენითი ჭიქურით.

და აი საფრანგეთიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა — რეზო მეტრეველს მოულოცეს ოქროს მედალი, უსურვეს შემოქმედებითი წარმატებანი და მიიწვიეს საფრანგეთში მედლის მისაღებად. ეს არის ქართველი კერამიკოსების ოქროს პირველი მედალი საერთაშორისო სარბიელზე.

(რეზო მეტრეველის სურათი იხილეთ IV გვერდზე).



იხილეთ V გვერდი

თელავი... უძველესი და უდიდესი ტრადიციების ქართული ქალაქი. ამ ქალაქის წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩვენი გაზეთის მეხუთე გვერდზე.

სურათზე: თერთმეტკლასელიანი სასტუმრო „ქახეთის“ მაკეტი, რომელიც მალე აღიმართება თელავში.



სურათზე: შეხვედრა საქართველოს სავაჭრო პალატაში. მარჯვნივ — პარიზის ბაზრობის დირექტორთა კომიტეტის პრეზიდენტი ანდრე მერსიე, მარცხნივ — რაფიელ ელიგულაშვილი.

მასპინძლობდა პარიზი

პარიზში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის მეორე სავაჭრო-სამრეწველო გამოფენამ, რომელმაც სამ კვირაზე მეტ ხანს გასტანა. ამ გამოფენაზე საქართველო დამოუკიდებელი ექსპოზიციით იყო წარმოდგენილი. პარიზის ბაზრობის დირექტორთა კომიტეტის პრეზიდენტი ანდრე მერსიე (რომელიც ამ დღეებში სტუმრად ჩამოვიდა საქართველოში) და საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რაფიელ ელიგულაშვილი გაზეთ „სამშობლოს“ კორესპონდენტს შესაბრძნენ ჩვენი პავილიონის წარმატებებზე.

კორესპონდენტი: როგორია თქვენი შთაბეჭდილებები ამ გამოფენის შესახებ?

ანდრე მერსიე: ოდნავ ამაღელვებელი. ახლა მგონია, რომ სხვების სახელითაც ვლაპარაკობ. ათასობით ფრანგმა და პარიზში ჩამოსულმა სტუმარმა ნახა თქვენი პავილიონი და თან წაიღო საქართველოს გაცნობით გამოწვეული საუკეთესო მოგონებები და გრძნობები.

კორესპონდენტი: როგორი იყო პავილიონის გაფორმება?

რაფიელ ელიგულაშვილი: მხატვრული თვალსაზრისით საქართველოს პავილიონმა დაიმსახურა გამოფენის დამთვალიერებელთა ყველაზე უკეთესი გამოხმაურება. პარიზელებმა მასში იპოვეს განსაკუთრებული სითბო და გულითადობა, საქართველოს პეიზაჟების სილამაზე და მომხიბლაობა. ამ საქმეში კი დიდი წვლილი შეიტანეს არქიტექტორმა შოთა უავლაშვილმა და პავილიონის ხელმძღვანელმა ნოდარ ღოღობერიძემ. ისინი მაისის დასაწყისშივე ჩავიდნენ პარიზში, რათა გამოფენისათვის ეროვნული კოლორიტი მიეცათ.

კორესპონდენტი: რითი წარდგა საქართველო გამოფენაზე?

რაფიელ ელიგულაშვილი: რესპუბლიკის ასზე მეტმა საწარმომ გაგზავნა გამოფენაზე თავისი პროდუქცია. საექსპოზიციო გეგმა შედგებოდა თემატური განყოფილებებისაგან: მეცნიერება და განათლება, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, კულტურა და ეროვნული სარეწები, სპორტი და ტურიზმი, საფრანგეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა.

კორესპონდენტი: რომელმა ექსპონატებმა მიიპყრეს მნახველთა ყურადღება?

ანდრე მერსიე: საქართველოს პავილიონის ეკონომიური წარმატება საერთოდ შესამჩნევია. ფრანგებისათვის საინტერესო აღმოჩენა იყო თქვენს საწარმოებში დამზადებული ელექტრული ტექნიკა, რომელმაც სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ გამოფენაზე ფრანგები პირველად გაეცნენ არა მარტო ელექტრული მრეწველობის ნიმუშებს, არამედ ტექნიკურ პროცესებსა და მოწყობილობებს, რომლებიც ხარისხით დასავლეთის საუკეთესო ნიმუშებს არ ჩამოუვარდებიან.

აქვე უნდა ვთქვათ ქართულ მოღებზეც. ორმა ქართველმა მშვენიერმა ქალიშვილმა მარიკა დათუნაშვილმა და შანანა აბაზაძემ პროფესიული ოსტატობითა და დახვეწილობით წარმოადგინეს საქართველოს მოდელების სახლის მოდები და სწორედ მოდებით განებივრებულმა საფრანგეთის საზოგადოებრიობის დიდი მოწონება დაიმსახურეს.

კორესპონდენტი: როგორ გამოეხმაურა საფრანგეთის პრესა გამოფენას?

ანდრე მერსიე: საფრანგეთის პრესამ თქვენს პავილიონს საკმაოდ დიდი ხარკი გადაუხადა. ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა წერილები, ტელევიზიით ორჯერ აჩვენეს მთელი ექსპოზიცია. გაზეთი „ლუმანიტე“ წერდა: „საქართველოს პავილიონი — ეს არის აღმოსავლურ სამკაულებში დანთებული ცეცხლოვანი მზე“. ითქვა, რომ „ქართველთა ნახელავი საუცხოო ხარისხისაა“ და სხვა.

კორესპონდენტი: დაათვალიერეს თუ არა გამოფენა საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველებმა?


რაფიელ ელიგულაშვილი: გამოფენაზე მოდიოდნენ ქართველები, მოდიოდნენ საფრანგეთის სხვადასხვა მხრიდან, ჩამოვიდნენ ევროპის ქვეყნებიდანაც. მათ გაზეთ „სამშობლოს“ ფურცლებიდან შეიტყეს ამ გამოფენის ამბავი, დაინტერესდნენ საქართველოს პავილიონით და ჯერ კიდევ მონტაჟის დროს მოდიოდნენ. გულწრფელად ამაყობდნენ ჩვენი წარმატებით. ვგრძნობდით მათ სიხარულსა და კეთილ სურვილებს.

კორესპონდენტი: რა შესძინა საქართველოს საგარეო ვაჭრობას ამ გამოფენამ?

რაფიელ ელიგულაშვილი: საქართველო ფართოდ გავიდა საერთაშორისო სავაჭრო სარბიელზე. გაიხსენეთ: 1960 წელს პარიზის პირველი სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე საქართველომ სულ რამდენიმე ექსპონატი გაგზავნა, მერე კი დაიწყო — 1964 წელს ირანის სამრეწველო გამოფენა, 1965 წელს იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს დამოუკიდებელი ექსპოზიცია ჭიხნდა, 1967 წელს ალჟირის საერთაშორისო ბაზრობის ჟიურიმ ჩვენს ექსპოზიციას უმაღლესი ჯილდო — ოქროს დიდი medალი მიაკუთვნა. წლევანდელ შედეგზე უკვე მოგახსენეთ. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის სავაჭრო ფირმებისაგან საბჭოთა საწარმოებმა 150 მილიონი ფრანკის შეკვეთა მიიღეს, აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს პროდუქციაზე მოდის.

ანდრე მერსიე: დიახ, თქვენი ექსპონატების დიდი ნაწილი პარიზში დარჩა. შესყიდულია ხალიჩები, გამოყენებითი ხელოვნების ბევრი ნაწარმი, ელექტრული ტექნიკა. შევისყიდეთ გეგმით გაუთვალისწინებელი საქონელი: შედური ხელოვნების ნიმუშები, ინვენტარი, რომლითაც გაფორმებული იყო პავილიონი და კარებიც კი, რომლებიც თქვენი შესანიშნავი მხატვრების მიერ იყო მოჩუქდილი.

აი რა შესძინა საქართველოს პარიზის პორტ-დე-ვერსალის პარკში გამართულმა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენამ.



სურათზე: ქართული პავილიონის ერთ-ერთი დარბაზი პარიზის გამოფენაზე.

მღვრიის მაშავერა...

გზა კაზრეთამდე

ფიქრივით დახვეულა გზა. უკან დარჩა ბოლნისი.

ცა კრიალაა, ფირუზისფერი. მწვანედ აფეთქებულა მინდვრები და საოცრად ლამაზი გორაკები.

გამოვიარეთ ტანძია, სულხან-საბა ორბელიანის სამშობლო, და მთის წვერზე არწივივით შემომჯდარი ციხე-ჯოშკის — ქვეშეთის სილამაზით დავტკბით. შემდეგ მანქანამ ხელმარცხნივ, ზვრებსა და ბაღებს შუა გაჭრილ გზაზე გადაუხვია, სწრაფად გაირბინა მდინარე მაშავერაზე ახლად აგებული ხიდი, აღმართი აიარა და ფერდობზე გაშენებულ სოფელს მივადექით.

როგორ დაიწყო

ჩვენი პირველი მასპინძელია მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მთავარი ინჟინრის მოადგილე, საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი აკაკი მეტრეველი. იგი 1954 წლიდან მუშაობს აქ და კომბინატის მშენებლობის ნამდვილი მემატიანეა. აი რა შევიტყეთ მისი ნაამბობიდან:

კაზრეთის ბარიტი, უსოდენ საჭირო და ძვირფასი ნედლეული სახალხო მეურნეობისათვის საუკეთესო ხარისხისაა.

ამ მიდამოებში ბევრი გამონათხარია, რაც იმის ნიშანია, რომ ძველადაც იღებდნენ მადანს.

გეოლოგებმა კვლავ დაადასტურეს მდიდარი საბადოების არსებობა და აი კაზრეთში საფუძველი ჩაეყარა ჩვენი რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის უდიდეს კერას.

როდესაც კომბინატის შექმნის ისტორიაზე ვლაპარაკობთ, გვითხრა მეტრეველმა, მოვალენი ვართ გავიხსენოთ მისი პირველი მთავარი ინჟინერი, აწ განსვენებული მიხეილ გულუა, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელებას.

კარიერი

ყველაზე საინტერესო და ყველაზე მთავარი მადნეულში ჯერჯერობით კარიერია. კომბინატის გაცნობაც აქედან დავიწყეთ.

აი რას წერს ვახუშტი ბატონიშვილი ამ ადგილებზე: „კვალად ლოქოს მთა განყოფს ტაშირსა და ჯაზრეთს, ბალიჭსა და დბანის ხევსა... ძველად არს საერისთაო ხუნანისა და არს შემკობილი ყოვლითა, ვენახი და ხილნი მრავალნი, მთათა ნადირი ურიცხვნი და ფრინველნი... დბანის ქვეყით არს, ჩრდილოს კერძ ხინწის ხევი. მას ქვეყით დაბა აბუღმაგი. აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა“.

ახლა უკვე გასაგებია იმ გამონათხრებისა და დიდი მოცულობის სიცარიელეების წარმოშობა აქ რომ პოულობენ. აქაური სოფლების სახელწოდებაც — ფოლადაური, სარკინეთი... იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს მხარე ლითონის დამუშავების ცენტრს წარმოადგენდა. სულ რამდენსამე კილომეტრზე მდებარეობს სოფელი ჩათახიც, სადაც XVIII საუკუნის დამლევამდე რკინის მადნის ამოღებასა და დამუშავებას მისდევდნენ.

კარიერის უფროსმა ირაკლი გიგიტიძემ გვითხრა, აქ მოპოვებული სპილენძის მადანი ერთ-ერთი უმდიდრესია თავისი შემადგენლობითო. კარიერზე იღებენ აგრეთვე საუკეთესო ხარისხის ბარიტს, რომელიც ეგზავნება ქუთაისის ბარიტისა და ლითოფონის ქარხნებს, ურალის ქიმიური მრეწველობის კომბინატებს, ბაქოელ მენავთობეებს. ჯერჯერობით ჩვენი ქვეყნის ბევრი ქარხანა იღებს აქაურ სპილენძსაც, შემდეგ კი, როცა გამამდიდრებელი ფაბრიკისა და ავტოკლავის მშენებლობა დამთავრდება, აქვე მოხდება მისი გადამუშავება.

ასეული წლობით მიძინებული ქართული ფერადი მეტალურგია თავისსავე აკვანში იღვიძებს. გვაქვს ქართული ფოლადი, გვექნება ქართული სპილენძიც.

არის მადანი, იქნება ლითონიც

კაზრეთში ფერადი ლითონების მდიდარი საბადოებია, მაგრამ მადანი ჯერ კიდევ ლითონი როდია. მას გადამუშავება სჭირდება.

მადნეულელი მელითონეები ახლა ფერადი ლითონების ლაბორატორიული წესით მიღებაზე მუშაობენ. პირველი შედეგები იმედის მომცემია, ექსპერიმენტები წარმატებით მიმდინარეობს.

კომბინატში ამჟამად მოქმედებს ავტოკლავი და მინიატურული გამამდიდრებელი საცდელი ფაბრიკა, იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოქმედი მოდელია იმ დიდი გამამდიდრებელი ფაბრიკისა, რომლის მშენებლობაც უკვე კარგა ხანია დაიწყო.

ახალი ქალაქის პერსპექტივები

კომბინატის დირექტორის ფილიპე ნაჭყებიას კაბინეტში კედელზე გაკრულია მომავალი ქალაქის რუკა-პროექტი. ამ პროექტის პირველი რიგის სამუშაოები ითვალისწინებს ქალაქის აშენებას რვა ათასი მცხოვრებისათვის, სკოლებით, ბაგა-ბაღებითა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობებით. სამი ათასზე მეტი კაცი უკვე ცხოვრობს ახალაგებულ, კეთილმოწყობილ ბინებში.

პროექტით გათვალისწინებულია ქალაქის ხვალინდელი დღეც, თუმცა მის შემდგენლებს უფრო შორეულ მომავალზეც უფიქრიათ.

დავათვალიერეთ მომავალი ქალაქის მიდამოები. ძნელია შეირჩეს უკეთესი ადგილი. კაზრეთი, ალბათ, ერთად-ერთი ქალაქი იქნება, რომელსაც სილამაზის მთა გაყოფს ორად. მთის აღმოსავლეთი და დასავლეთი კალთები მრავალსართულიანი სახლებით დაიფარება, ხოლო მდინარე მაშავერა რკალად მოევლება ქალაქს, რომლის მცხოვრებთა რაოდენობა 25-30 ათას გადააჭარბებს...

აქ შენდება აგრეთვე უდიდესი კერამიკული ქარხანა, რომელიც დაამზადებს უმაღლესი ხარისხის სამშენებლო ფილებსა და აგურს. სპეციალისტების აზრით, ეს იქნება ყველაზე საუკეთესო და იაფი რესპუბლიკაში აქამდე დამზადებული სამშენებლო მასალათა შორის.

მიწა კი იღიმება

ელექტრომავლის კივილმა აავსო ხევი და მთის მწვერვალებს გადაევლო.

„რუსთავი-კაზრეთი“ — ცარცით აწერია ცემენტით, მილებით, საარმატურო რკინითა და მავთულით დატვირთულ ვაგონებს. უფროსმა ძმამ უმცროს ძმას მორიგი ნობათი მოართვა.

რკინიგზის სადგურიდან კიდევ ერთხელ გადავხედე მადნეულს. ხელისგულივით მოჩანს მთებს შუა ჩამჯდარი კომბინატი. მწვანეში ჩაფლულ მთის დუმილს მხოლოდ მაშავერას ჩხრიალი აკრთობს. სიმღერასავით ისმის მისი ხმა ხევში. დიახ, მღერის მაშავერა, რაკრაკებს, მთა ბუბუნებს, ხევი ბანს აძლევს. წკრიალებს ქართული ფოლადი, სპილენძისფრად საკინძგადაღებული მიწა კი იღიმება, დიდ სიხარულსა და ბარაქას ჰპირდება ქართველ კაცს.

თენგიზ ლეკვეიშვილი



რევაზ გამყრელიძე



თამაზ გამყრელიძე

ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები

ვისაც თქვენებრი დაჭაბადებია...

თითქოს გუშინ იყო — ვალერიან გამყრელიძეს ვინმე რომ ჰკითხავდა, შენი ბიჭები სად არიანო, ეზოში გაიხედავდა, თუ იქ არ იყვნენ, მისთვის ჩვეული მშვიდი კილოთი ჩაილაპარაკებდა — ალბათ, სადმე ბურთის ან ლახტის სათამაშოდ წავიდნენო. ახლა კი ამავე შეკითხვაზე ისეთივე კილოთი, არც ისე იშვიათად, ასე გიპასუხებთ: რეზო ნიუ-იორკშია, თამაზი კი ამსტერდამში ლექციების წასაკითხადო...

ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, ლოს-ანჯელესი, პრინსტონი, მიჩიგანი, მინესოტა, პარიზი, ბერლინი, ციურიხი, ბერნი, ლეიდენი, ამსტერდამი — აი არასრული სია იმ ქალაქებისა, რომელთა უნივერსიტეტებში სტუდენტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით სავსე აუდიტორიები დიდი ინტერესით ისმენენ ქართველი მეცნიერების რევაზ და თამაზ გამყრელიძეების ლექციებს.

ომი რომ დაიწყო, რევაზი 12 წლისა იყო, თამაზი კი ათისა. ბავშვები ერქვათ, მაგრამ ქვეყნად რა უბედურება ტრიალებდა, დიდებივით გრძნობდნენ. ანცობას მოუკლეს და სწავლას უმატეს — მათგან მხოლოდ ამას მოითხოვდნენ მაშინ.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თითოეულმა თავის გულისნადებს შეასხა ფრთები. სხვადასხვა გზა აირჩიეს, თუმცა საერთოც ბევრი ჰქონდათ — შრომისადმი დიდი სიყვარული, ახლის დაუცხრომელი ძიება და, რა თქმა უნდა, დიდი ნიჭიერება.

რევაზმა თავისი მომავალი მათემატიკას დაუკავშირა, თამაზი ენათმეცნიერებამ გაიტაცა და დაიწყო სვლა მეცნიერების მწვერვალებისაკენ.

1953 წელი. რევაზ გამყრელიძე წარმატებით იცავს დისერტაციას ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. მისი ნაშრომი „ალგებრულ მრავალნაირობათა ჩერნის ციკლების გამოანგარიშება“ მეცნიერებაში ახალ სიტყვად აღიარეს.

1955 წელი. დიდ სამეცნიერო ასპარეზზე უმცროსი ძმა თამაზ გამყრელიძეც გამოდის — ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, სადაც აღმოსავლეთის ძველი ენები — აქადური, ურარტული, ხეთური შეისწავლა, იგი იცავს დისერტაციას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1956 წელი. რევაზ გამყრელიძე აკადემიკოს ლევ პონტრიაგინთან ერთად მუშაობას იწყებს ოპტიმალური მართვის თეორიასა და რხევის თეორიაში ჩვეულებრივი დიფერენციული განტოლების გამოყენებაზე. რევაზი ზედიზედ აქვეყნებს ნაშრომებს ოპტიმალური მართვის თეორიაში. შედეგი ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ცნობილი პროფესორის განცმახერის სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ რევაზ გამყრელიძის ნაშრომები დაედო საფუძვლად ოპტიმალური პროცესების თეორიის ურთულეს და უნატიფეს ნაწილს. სულ მალე კი დამუშავდა მართვის აპარატურა, რომლის მოქმედების პრინციპიც აგრეთვე რევაზ გამყრელიძის მიერ მიკვლეულ მეთოდებზეა დამყარებული.

1960 წელი. მოსკოვში მიმდინარეობს აღმოსავლეთმცოდნეთა 25-ე მსოფლიო კონგრესი. თამაზ გამყრელიძე უფროსი კოლეგების წინაშე წარდგა მოხსენებით „ჩრდილო სირიის აქადური დამწერლობა და ხეთური დამწერლობის წარმოშობის პრობლემა“. ავტორმა გაბედულად უარყო ამ საკითხის ირგვლივ გაბატონებული შეხედულება და სრულიად ახალი თეორია წამოაყენა. ყოველივე ეს ისე ლაკონიურად, მეცნიერულად მაღალ დონეზე და ისეთი უტყუარი ფაქტებით განამტკიცა, რომ მსოფლიოს ხეთოლოგებმა იგი უყოყმანოდ გაიზიარეს.

1960 წელი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სტეპლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს რევაზ გამყრელიძეს ფიზიკა-მათემატიკის დოქტორის ხარისხი ენიჭება.

1962 წელი. თამაზ გამყრელიძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია. მეგობრები ხუმრობენ — თამაში რევაზზე ორი წლით უმცროსია და ალბათ ამიტომაც ორი წლით „დაუგვიანდა“ სადოქტორო დისერტაციის დაცვაო.

თამაზის ნაშრომებმა — „არაინდოევროპული ელემენტები ხეთურ ენაში“, „ჩრდილო სირიის აქადური დამწერლობა და ხეთური დამწერლობის წარმოშობის პრობლემა“, „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია“, „თანხმოვანთა გადაწევა ხეთურ ენაში“, რომლებიც ინგლისურ ენაზე ითარგმნა, საკითხად იწვევენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. უცხოური ენების ბრწყინვალე ცოდნა საშუალებას აძლევს ქართველ მეცნიერს ლექციები უთარჯიმნოდ წაიკითხოს. რევაზთან ურთიერთობას ამყარებენ სახელმოხვეჭილი მეცნიერები — ამერიკელი ლეშეტიცი და ბელმანი, ფრანგი ლიონსი და სხვები.

1965 წელი. თამაზ გამყრელიძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ გივი მაჭავარიანთან ერთად ქართულ ენაზე აქვეყნებს ჯაჰიტალურ ნაშრომს „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“. ნაშრომი ახალ ეტაპად მიიჩნიეს ქართულ ენათმეცნიერებაში. ოსლოს უნივერსიტეტის რექტორის ჰანს ფოგტის აზრით, ეს ნაშრომი ქართველური ენათმეცნიერების ახალი ფურცელია და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ინდოევროპული, ისე ზოგადი ენათმეცნიერებისათვის.

1967 წელი. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, ამერიკისა და ევროპის ლინგვისტურ საზოგადოებათა ნამდვილ წევრს თამაზ გამყრელიძეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ირჩევენ.

ამჟამად რევაზ გამყრელიძე მოსკოვში, სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში მუშაობს. მეცნიერი რამდენიმე წელიწადია საკავშირო ჟურნალ „მათემატიკის“ მთავარი რედაქტორია. როდესაც სიტყვა მომავალ საქმიანობაზე ჩამოვუგდე, პასუხი მოკლედ და ლაკონიურად გაცა: შრომა, ძიება, შრომა. შემდეგ ერთი გულის ნადებიც გამანდო — სადაც უნდა ვიყო, რომელი აუდიტორიის წინაშეც უნდა გამოვიდე, თბილისში ჩამოსვლა, მშობლიური ქალაქის უნივერსიტეტსა თუ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექციების წაკითხვა ყველაზე მეტად მაღელვებსო. თან დასძინა: თუ შენი მიღწევა, მათემატიკაში გაღებული შენი ღვაწლი ქართველმა მათემატიკოსებმა აღიარეს, ეს ნიშნავს, რომ ყველაზე დიდი გამოცდა ჩაგიბარებიაო. ის, რომ რევაზ გამყრელიძე ქართულმა მათემატიკურმა სკოლამ აღიარა, რომ მისი სახელი, მისი მეცნიერული ღვაწლი თითოეული ჩვენთანისათვის სასახელო და სამაყოა, ამის ნათელი დადასტურებაა ახალგაზრდა მეცნიერის 1969 წელს ქართული აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევა.

თავის მომავალ საქმიანობაზე თამაზსაც იგივე შეხედულება აქვს, როგორც რევაზს — შრომა, ძიება, შრომა. ამ დევიზით დაადგნენ ძმები ცხოვრების დიდ გზას, ამ დევიზით მიიწევენ ისინი მეცნიერების მწვერვალებისაკენ.

სულ მალე თამაზ გამყრელიძე ლექციების წასაკითხად ჩიკაგოს, კალიფორნიისა და მიუნხენის უნივერსიტეტებს ეწვევა. შორეულ ქვეყნებში ლექციების წასაკითხად მრავალი მიწვევა აქვს მიღებული რევაზ გამყრელიძესაც.

შრომასა და ახლის ძიებაში გადის დღეები. სადაც უნდა იყვნენ ძმები რევაზ და თამაზ გამყრელიძეები — ჩვენში თუ სამშობლოდან მოშორებით, მათ ლექციებსა და საჯარო გამოსვლებს აღტაცებით ისმენს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მეცნიერება, მისი პროგრესი, მისი გამარჯვება. ისმენენ და ქებას ასხამენ იმ მიწას, მამულს, ერს, დედას, ვინც ასეთი შვილები შობა და აღზარდა...

რეზო მაჭავარიანი,
მოსკოვი-თბილისი.

კიდევ ორი სადგური

თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლებს „ხალი გზები გაჰყავთ ცისფერი ექსპრესებისათვის. მალე მწყობრში ჩააყენებენ მიწისქვეშა მაგისტრალს „300 არაგველიდან“ „ნავთლულამდე“.

ახალი ტრასის სიგრძე 2,2 კილომეტრი იქნება. აქ გაიხსნება ორი სადგური — „ისანი“ და „ნავთლული“. ეს უკანასკნელი უესკალატოროდ იმუშავებს. მგზავრები ორმარშიანი კიბეებით ისარგებლებენ. გაკეთდება ოთხი ამოსასვლელი. — ორი რკინიგზის სადგურის მხარეს, ორი კი მოსკოვის გამზირისაკენ. ეს იქნება არქიტექტურულად ლამაზი, ლაკონიური და ფერადი კომპოზიციით შექმნილი ნაგებობა. უბანს კიდევ უფრო დაამშვენებს რკინიგზის სადგურის ახალი შენობა.

პირველად ბრაზილიაში

ბათუმის გემსაშენებელმა ქარხანამ „ვოლგის“ ტიპის წყალქვეშა-ფრთიანი რამდენიმე სასეირნო კატარღა გაგზავნა ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, პოლონეთსა და რუმინეთში.

წლითიწლობით იზრდება ბათუმის სასეირნო კატარღების მყიდველი ქვეყნების რიცხვი. მალე რამდენიმე კატარღა პირველად გაიგზავნება ბრაზილიაში.

ჰოლანდია, კუნძული ტექსელი, ქართველი კაცის ვაჟკაცობის, ბრძოლის, სამშობლოს სიყვარულის კიდევ ერთი უტყუარი მოწმე. ტყვეობაშა და ნაძრახ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო — თვალი არ დაუხამხამებიათ, ისე მიუშვირეს მტრის ტყვიას მკერდი... უსახელოდ არ წასულან, ფაშისტიც ბევრი გაიყოლიეს თან...

ჰოლანდია, კუნძული ტექსელი. 1943 ქართული საფლავი. ეს ადგილი ჩვენებური კაცისათვის ისევე ძვირფასი და წმინდაა, როგორც დიდგორი, კრწანისი, მარაბდა... ბევრი ჭირისუფალი ჰყავს ჩვენშიც და ჰოლანდიაშიც. ბევრთა შორის არის ერთი, რომელმაც ტექსელიდან დაბრუნებულ პირველ კაცთან შეხვედრიდან შეიყვარა ქართველ ვაჟკაცთა სისხლით მორწყული კუნძული. ეს კაცი მწერალი რევაზ თაბუკაშვილი გახლავთ. მან რამდენჯერმე იმოგზაურა ჰოლანდიაში. ქართული მიწაც ჩაიტანა იქ და საფლავებზე ჩვენებური ვარდიც მრავლად დარგო. თითოეული მგზავრობა ახალ ფურცელს შლიდა მწერლის შემოქმედებაში და აი ტექსელის აჯანყების ეპოპეას მიეძღვნა პიესა „დენბურგის ზარი“, რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიდგა, დაიწერა სცენარი „ჯვარცმული კუნძული“, რომელიც რეჟისორმა შოთა მანაგაძემ ფილმად გადაიღო.

სულ ახლახან რევაზ თაბუკაშვილი კვლავ ეწვია ჭედუანას, სადაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰოლანდიური ცაცხვები ქართულ კუბოებად დაიხერხა...

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა მწერალს და სთხოვა გაეზიარებინა „სამშობლოს“ მკითხველებისათვის უკანასკნელი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი.

● ბატონო რეზო, რა იყო თქვენი ახლანდელი მოგზაურობის მიზანი?

ჰოლანდიაში, ქართველ მებრძოლთა საფლავებზე, მოგეხსენებათ, სხვა დროსაც გვყოფილვარ. ჯერ კიდევ 1966 წელს ტექსელის აჯანყების მონაწილეებმა, რომლებიც სიკვდილს გადაურჩნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ, სასაფლაოზე დასადგმელად გამზატანეს წარწერა, რომელიც მნახველს დაუჭედლთა ვინაობას ამცნობს. ამჯერად ჰოლანდიაში ჩემი სცენარის მიხედვით დადგმული ფილმის „ჯვარცმული კუნძულის“ პრემიერა ეწყობოდა და ფილმის რეჟისორ შოთა მანაგაძესთან ერთად 25 აპრილს კვლავ დავადექი ჰოლანდიისაკენ მიმავალ გზას.

● თუ არა ვცდები, თქვენ იქ ამჯერადაც წაილეთ სასაფლაოზე დასადგმელი წარწერა?

მართალი ბრძანდებით. ტექსელზე მიმავალთ ამჯერადაც მიგვქონდა სასაფლაოს წარწერა, მხოლოდ არა დასადგმელი, არამედ კარზე ჩამოსაკიდი. საქმე ის გახლავთ, რომ აქამდე სასაფლაოს კარს მხოლოდ ჰოლანდიურად ეწერა, აქ საბჭოთა მეომრები განისვენებენო. დღეიდან კი სასაფლაოს ჭიშკარს ქართულ, რუსულ და ჰოლანდიურ ენებზე მხატვარ დიმიტრი ლორთქიფანიძის მიერ შესრულებული ჭედურობა დაამშვენებს, რომელიც მნახველთ ამცნობს — აქ ქართველი საბჭოთა მეომრების საძმო საფლავიაო.

● როგორ უვლიან ქართველთა საფლავს ჰოლანდიელები?

იდეალურად. წელიწადის რა დროსაც უნდა მიხვიდეთ, 565 საფლავი ცოცხალი ყვავილებით არის შემკული. ის, თუ რა ხდება იქ, ყოველი წლის 4 მაისს, ძნელი გადმოსაცემია. ეს დღე ჰოლანდიაში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემულთა მოსაგონარ დღედ არის გამოცხადებული. ომის ვეტერანები თუ ახალგაზრდები იკრიბებიან მსხვერპლად შეწირულთა საფლავებთან, ომართება მიტინგები, სადაც ადამიანები მოითხოვენ, რომ ეს საშინელება აღარ გამეორდეს. საღამოს 8 საათზე კი მთელ ჰოლანდიაში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა პატივსაცემად 2 წუთით წყდება მოძრაობა. ყველა ჰოლანდიელს სახეზე ჭმუნვა და სევდა აქვს აღბეჭდილი. ამ დღეს, როგორც წესი, ტექსელის მკვიდრნი ბურგომისტრის ხელმძღვანელობით მიდიან ქართველ მებრძოლთა საფლავზე. შეკრების მოწმენი წლეულს ჩვენც გახლდით და საქართველოდან წაღებული წარწერაც სასაფლაოს ჭიშკარს მაშინ ჩამოვკიდეთ.

მინდა გაცნობოთ ერთიც — ალბათ, გაისად, 4 მაისისათვის სასაფლაოს ჭის ჭიშკარი შეიცვლება ქართული ჭედურობით დამშვენებული რკინის ჭიშკრით, რომელიც არქიტექტორმა ნოდარ შგალობლიშვილმა და აწ განსვენებულმა მხატვარმა ანთიმოზ გორგაძემ დაამზადეს. იგი მრავალ ათას კილომეტრს გაივლის და სამუდამო დარაჯად დაუდგება ჩვენს თანამოძმეთა საფლავებს.


● ბატონო რეზო, როგორ მოეწონათ ჰოლანდიელებს ფილმი „ჯვარცმული კუნძული“?

სიმართლე უნდა გითხრათ, იმ ოცი ქვეყნიდან, რომლებმაც ეს ფილმი შეისყიდეს, ჩემთვის და ფილმის რეჟისორ შოთა მანაგაძისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჰოლანდიელთა აზრის მოსმენა იყო. თავის ქებად არ ჩამომართვათ და შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ჰოლანდიელმა მაყურებელმა ფილმი სიყვარულით მიიღო. პრესაშიც არა ერთი და ორი კეთილი სიტყვით დაწერილი სტატია გამოქვეყნდა.

ჩვენი ცაცხვები კუბოებად აღარ უნდა დაისერხოსო, გვეუბნებოდნენ მასპინძლები ფილმის ნახვის შემდეგ, და ვინ მოთვლის, მერამდენედ ვისმენდით 565 საფლავის სამძიმარს — რა ბიჭები იყვნენ, რა ბიჭები, დიდება მათ ვაჟკაცობასო!..

სურათზე: ქართველ მეომართა საფლავზე დასადგმელი ჭიშკარი.

უკვდავებად დახერხილი ცაცხვები



„ქართული ენის თავგადასავალი“

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე მსოფლიოს ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა“. აკადემიკოს ნიკო მარის ეს სიტყვები უძღვის წინ შოთა ძიძიგურის წიგნს „ქართული ენის თავგადასავალი“, რომელიც „ნაკადულმა“ გამოსცა.

წიგნი დააინტერესებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია დედაენა. ავტორი გვახედებს შორეულ წარსულში, მოგვითხრობს ქართული ენის ჩასახვისა და განვითარების ისტორიულ გზაზე, მის ურთიერთობაზე სხვა ენათა ოჯახებთან.

წიგნის პირველი ნაწილი ქართული ენის კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას ასახავს. გარკვეულია ჩვენი ენის ოდინდელი მომართებანი წინა აზიისა და შუამდინარეთის ხალხებთან. ნაჩვენებია, თუ როგორ გააღრმავა თავისი შინაგანი შესაძლებლობანი, როგორ ჩამოაყალიბა თავისი სტრუქტურა, გაიფართოვა ლექსიკის ჩარჩოები თხუთმეტსაუკუნოვანმა ლიტერატურულმა ენამ.


წიგნის მეორე ნაწილია „ქართული ენა და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა“. აქ ავტორს მოჰყავს მეცნიერებაში გამთქმული მრავალგვარი მოსაზრებანი ქართული ენისა და მისი შემოქმედი ხალხის სადაურობის შესახებ, გვაცნობს ძირითად ეთნოგენეტიკურ კონცეფციებს.

განყოფილებაში „ქართული ენის წარმოშობა“, ავტორი გადმოგვცემს ჰეროდოტეს, გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის ლაიბნიცის, ლორენცო ერვასის, ფრანგი ორიენტალისტის ანკეტილ-დიუპერონის, აკადემიკოს მარი ბროსეს, გერმანელი მეცნიერის ფრანც ბოპის, ვენის უნივერსიტეტის პროფესორის ფრიდრიხ მიულერის, პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის, აკადემიკოსების ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, არნოლდ ჩიქობავას, გიორგი წერეთლისა და სხვა მკვლევართა მოსაზრებებს.

წიგნის შემდეგი ნაწილი ქართული ენის წარმოშობას ეძღვნება. ავტორი არკვევს დღევანდელი მსოფლიოს დამწერლობათა სისტემებს და გვიჩვენებს, რომ ქართულ ანბანს ამ სისტემაში ერთ-ერთი დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს. ავტორს მოჰყავს საბუთები იმის შესახებ, რომ ძველ კოლხებს უკვე ჰქონდათ დამწერლობა. მართალია, ქართული ანბანი რეალურად V საუკუნის დასაწყისიდან არსებობს, მაგრამ იგი გაცილებით უფრო ძველი წარმონაქმნია, მისი წარმოშობა წარმართობის ხანის სიღრმეში უნდა ვეძიოთ.

წიგნის მომდევნო ნაწილებში შოთა ძიძიგური მკითხველს აცნობს ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებს, გადმოგვცემს ქართული ენის მეცნიერული შესწავლის მოკლე ისტორიას.

ამ წიგნის გამოცემით უდავოდ დიდი, კეთილშობილი საქმე გაკეთდა და მკითხველმაც მადლობის მეტი რა უნდა თქვას.



ახალი ფიგნები

„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“

„საქმოგლოს“ ინტერვიუ

გვესაუბრება მრავალტომეულის მთავარი რედაქტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი

საქართველოს ისტორიაში, როგორც ცნობილია, ბევრი კარგი ნაშრომი არსებობს. ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა გასული საუკუნის შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომებს, უაღრესად ძვირფასია საქართველოს ისტორიის წყაროების შესანიშნავი პუბლიკაციები, რომლებიც ეკუთვნით თედო ჟორდანიასა და ექვთიმე თაყაიშვილს. და, ბოლოს, ქართული საისტორიო მეცნიერების უდიდეს განძს წარმოადგენს აწ განსვენებული აკადემიკოსის ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის ნაშრომები. ბევრი შესანიშნავი გამოკვლევის ავტორები არიან ისტორიკოსთა უფრო ახალი თაობის წარმომადგენლებიც.

ამის-მიუხედავად, დღემდე არ მოგვეპოვება საქართველოს მთლიანი მეცნიერული ისტორია, მით უმეტეს, მრავალტომეული ისტორია. ამას თავისი მიზეზი აქვს: როგორც ცნობილია, ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ფაქტიურად შესწავლილი იყო მხოლოდ საქართველოს ფეოდალური ხანა. რაც შეეხება წინაფეოდალურ ეპოქას და უკანასკნელ ასწლეულს, ეს პერიოდები მეცნიერულად ძალზე სუსტად იყო დამუშავებული.

უახლოესმა კვლევა-ძიებამ ეს ხარვეზი საგრძნობლად შეავსო. საქართველოში გაშალა უდიდესი მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები, მდიდარი ეთნოგრაფიული მასალების შესწავლა, გამოვლინდა ახალი წერილობითი წყაროები და სხვა. სწორედ ყველაფერმა ამან საშუალება მისცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს ხელი მოეკიდა ისეთი დიდი სამუშაოსათვის, როგორიც არის საქართველოს სრული მეცნიერული მრავალტომეული ისტორიის შექმნა.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ ავტორთა მიზანია მკითხველთა ფართო წრეს გადაუშალონ ქართველი ხალხის ხანგრძლივი ისტორიული მოვლენებით მდიდარი თავგადასავალი, მიაწოდონ მეცნიერების დღევანდელი დონის შესაფერი მასალა.

გამოცემა აკადემიური ხასიათისაა. მასში ბევრი რამ პირველად არის შეტანილი ავტორთა მიერ. წიგნში თანმიმდევრულად მითითებულია წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. ყოველ ტომს ერთვის საძიებლები. ნარკვევები მდიდრულად არის დასურათხატებული ფერადი და შავ-თეთრი ფოტოებით, ნახატებით, რუკებით. მას აქვს ყველა ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე დიდი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

„ნარკვევები“, როგორც ითქვა, 8 ტომად გამოდის. თითოეული ტომი 50 თაბახს შეადგენს — თითქმის 800 ნაბეჭდ გვერდს.

● პირველ ტომში, რომლის რედაქტორობა მე მაქვს დაკისრებული, მოთხრობილია საქართველოში ადამიანთა საზოგადოების უძველესი ეტაპების შესახებ. გაშუქებულია ქვისა და ბრინჯაოს ხანის კულტურები. ამავე ტომში მკითხველი გაეცნობა პირველი ქართული სახელმწიფოების — იბერიისა და კოლხეთის ისტორიას.

● მეორე ტომი მოიცავს პერიოდს საქართველოს გაქრისტიანებიდან — ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან, ვიდრე გაერთიანებული ქართული მონარქიის (XI საუკუნე) ჩამოყალიბებამდე. ტომის რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შოთა მესხია.

● მესამე ტომში გაშუქებულია XI-XV საუკუნეების ისტორია, ესე იგი ის პერიოდი, როდესაც ყალიბდება და ძლიერდება ერთიანი საქართველოს სამეფო, ხოლო შემდეგ იშლება ცალკე სამთავროებად. რედაქტორები არიან განსვენებული პროფესორი ვარლამ დონდუა და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დავით მუსხელიშვილი.

● მეოთხე ტომი ეხება საქართველოს ისტორიის მეტად მძიმე პერიოდს (XVI-XVIII საუკუნეები), როდესაც იგი თავგამოდებით იბრძოდა თავისთავადობის შენარჩუნებისათვის. ამ ტომს რედაქტორობს პროფესორი მამია დუმბაძე.

● მეხუთე ტომი ეძღვნება XIX საუკუნეს (რედაქტორი — პროფესორი ირაკლი ანთელავა), ხოლო უკანასკნელი სამი ტომი — XX საუკუნის საქართველოს ისტორიას (რედაქტორები — პროფესორები აკაკი სურგულაძე, იური კაჭარავა, ნიკოლოზ სტურუა).

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის გამოქვეყნება ვფიქრობ, მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო ქართულ საისტორიო მეცნიერებაში, არამედ, საერთოდ, ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში.

რედაქციისაგან: მკითხველებს ვახსენებთ, რომ ხელმოწერა „საქართველოს ისტორიის ნარკვევებზე“ უკვე დაიწყო წლეულს გამოვა I, II და V ტომები. დანარჩენ ტომებს ხელმომწერლები მიიღებენ უახლოეს 2-3 წელიწადში.

● უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს შეუძლიათ გამოგზავნონ წერილობითი მოთხოვნა შემდეგი მისამართით:

თბილისი 26, გიორგი ათონელის ქუჩა № 25, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი.

წიგნის საფასურსა და გაგზავნის ხარჯებს საზოგადოება გაიღებს.



მხატვრული კერამიკის მსოფლიო გამოფენის ლაურეატი რეზო მეტრეველი.

ვალერიან გენგიურის ფოტო

ენის ნორმები

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოაქვეყნა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველი კრებული (რედაქტორი ივანე გიგინეიშვილი), რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ.

ქართული სალიტერატურო ენის ეს ნორმები მოიცავს ორთოგრაფიისა და მორფოლოგია - სინტაქსის მრავალ საკითხს. სულ კრებულში 40 სტატიაა. მათში განხილულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის პრინციპები და ამ პრინციპთა საფუძველზე დადგენილი ნორმები. ნორმები ეხება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ორთოგრაფიის, სიტყვაწარმოების, სახელთა ბრუნების, ზმნების ულლილებისა და სიტყვათა შეწყობის სადავო საკითხებს. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი უცხოური ენებიდან მომდინარე სიტყვათა ქართულად გადმოცემის საკითხებსაც.

კრებულს დართული აქვს ანგარეთვე ადამიანთა სახელების სარეკომენდაციო სია და ორთოგრაფიული საძიებელი.

„დედის ტაძარი“

ამას წინათ გამომცემლობა „მერანმა“ მხატვრული ლიტერატურის მოყვარულთ მიაწოდა გიორგი ზედგენიძის ისტორიული რომანი „დედის ტაძარი“. რომანში მხატვრულად არის წარმოსახული მეჩვიდმეტე საუკუნის მესხეთ-ჯავახეთის მძიმე, მაგრამ გმირული ყოფა. ეს რომანი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ბევრ საინტერესო ამბავს მოგვითხრობს საქართველოს მეცნიერების აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მიერ საშრომთა კრებულებისა და ცალკეულ მონოგრაფიულ გამოკვლევათა გამოცემა. უკვე დაბეჭდილია ინსტიტუტის ნაშრომების 15 ტომი. გამოსულია თანამშრომელთა 200-ზე მეტი წიგნი. ამ ნაშრომებზე საბჭოთა და უცხოეთის გამოჩენილ სპეციალისტთა რეცენზიები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, ამერიკულ, ფრანგულ, ჩეხურ, პოლონურ, უნგრულ, რუმინულ პრესაში.

ინსტიტუტმა მოამზადა ახალი სერიის კრებული „ეკონომიკა“. პირველ ტომში შესულია ეკონომიური თეორიისა და კონკრეტული ეკონომიკის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი 20 სტატია.

კრებული „ეკონომიკა“

გამოფენა ამერიკაში

საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ იოსებ ბუალავას მონოგრაფია — „განწყობის ფსიქოლოგია და კიბერნეტიკა“ ჯერ კიდევ 1966 წელს დიდი ტირაჟით გამოსცა საკავშირო აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებამ“. ამ გამოცემის შესახებ ჟურნალი „ვოპროსი ფსიხოლოგიი“ წერდა: იოსებ ბუალავას მონოგრაფიას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო დღევანდელი დღის კიბერნეტიკისათვის, არამედ მომავლის კიბერნეტიკული თეორიისათვისაც.

დიდი ინტერესი გამოიწვია ამ მონოგრაფიამ საზღვარგარეთელ მკვლევართა შორისაც. წლეულს ვარშავაში პოლონურ ენაზე გამოუშვა იგი გამომცემლობა „მეცნიერებამ“. ახლა წიგნი ითარგმნება ინგლისურად და მალე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გამოიცემა.

ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲡᲐᲥᲕᲐᲠᲔᲚᲝᲡ

თ ე ლ ა ვ ი

ᲔᲠᲔᲙᲚᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ისტორიაა ეს ქალაქი. წარსულის მატიანეა. თითოეული ქვა-კენჭი წინაპართა თვალშენაფლებია, თითოეული გოჯი მიწა შთი ოფლითა და სისხლით არის გაპოხიერებული.

თელავის დაბადებაზე მატიანე დუმს. თუმცა მეორე საუკუნიდან ქალაქად იხსენიებს.

უცხოელ გეოგრაფთა რუკაზე თელება-თელაიავა-თელავი აღნიშნულია, როგორც საყმჭრო ქარავანთა გასაჩერებელი ადგილი. მასზე გადიოდა გზა ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას შორის.

მეთერთმეტე საუკუნეში კვირიკე მეფეს აუშენებია ახლანდელი „ძველგალავანი“, იმ დროისათვის „დიდი, ვითარცა სასახლე“.

და იყო საქართველოში „დიდი ქალაქი თელავი“, სხვებისაგან ბევრით გამორჩეული.

მთელი საქართველო, მისი ყველა კუთხე, უკიდურეს ძნელბედობის ჟამსაც კი ერთდროულად არ ყოფილა სასიკეთოდ განწირული. ისტორიულად ასე იყო: როცა თბილისი — ქართული ეროვნული ცხოვრების შებაითახტრე და ტონის შიმცემი მტრის მარწუხებში მწარედ გმინავდა, საქართველოს განაპირა მხარეებში, და მათ შორის თელავში, იმაზე ზრუნავდნენ, რომ არ ჩამკდარიყო ხნითხნოვანი ქართული კულტურა, რომ არ ეზეიმა მოძალებულ მტერს და არ ეთქვა: მოვტეხე, დავიმონეო ქედუხრელი ხალხი, სამუდამოდ დავასამარეო მაოში თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრების წყურვილი.

თელავს ერეკლეს ქალაქსაც ეძახიან. არჩილ მეფის მიერ აშენებული სასახლის ერთ პატარა ოთახში დაიბადა დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სარდალი და თავისი დროის მოწინავე ადამიანი ერეკლე მეორე. ამ ადამიანის „ელვარე ხმალმა“ ბევრჯერ გადაარჩინა ივერია.

თხუთმეტი წლის ჭაბუკმა მამულის დასაცავად აისხა იარაღი და მთელი სიცოცხლე სალაშქრო ცხენის უნაგირზე გაატარა.

ტანით პატარა ყოფილა, გულ-მკლავით გოლიათი და გონება-განსჯით — ბრძენი.

სიყვარულით „პატარა კახი“ შეურქმევიათ.

კრწანისთან დამარცხებულ მოხუც მეფეს თელავის სიმყუდროვე შერჩა ნუგეშად და სადაც დაიბადა, იმავე ოთახში მიიძინა სამუდამოდ. გლოვობდა ივერია. ორმოცი დღე და ღამე მოთქმით ეთხოვებოდნენ გმირ მეფეს.

თურმე ქართველობამ ხელით ჩამოასვენა მეფე ერეკლე მცხეთას.

ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲘᲐ

ᲜᲚᲔᲑᲘ ნაბიჯ დაჭედილი ბედაურებივით მიქროდნენ...

თელავის შუაგულში ტრიალებდნენ ნათელი გონების ადამიანები: ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი, ვასილ ბარნოვი და რაფიელ ერისთავი, იროდიონ ევდოშვილი და ნიკო შიუკაშვილი...

იმ დროისათვის თელავში იყო ფილოსოფიური სემინარია. თეატრალური დასი მართავდა წარმოდგენებს. ერთი მუჭა განათლებული ქართველობა ცდილობდა თავისი გზით წაეყვანა მოძმენი. წინაპართა მცდელობამ და ამ საუკუნემ მოლოდინი გაამართლა.

თელავში ახლა რამდენიმე საშუალო სკოლაა, სამედიცინო ტექნიკუმი და ტექნიკური სასწავლებელი.

სამხატვრო სკოლის 80 მოსწავლე ეუფლება ფერწერის ანბანს, აყალიბებს, სისტემაში მოჰყავს ბუნებით მომადლებული ნიჭი. მათ ტილოებზე უკვე ჩნდება სწორუპოვარი შშობლიური პეიზაჟები.

ორასამდე მოზარდი სწავლობს მუსიკალურ ათწლედში. მათი პედაგოგები არიან თელაველი ქალიშვილები, რომელთაც თავდაპირველად აქ უსწავლიათ, შემდგომში თბილისის კონსერვატორიაში და ახლა მომდევნო თაობებს აცნობენ მუსიკის სამყაროს.

არსებობის ოცდაათი წლის მანძილზე 10 ათასზე მეტი სპეციალისტი გამოზარდა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა.

სასწავლებელი ერეკლესეულ სასახლეში ბინადრობს. აქვს დღის და საღამოს, ავრეთვე დაუსწრებელი განყოფილებები. აქ ძირითადად კახეთის ახალგაზრდობა სწავლობს, მაგრამ მეცნიერებას ეუფლებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილებიც, რომელთა საერთო რაოდენობა ამჟამად 2.500 აღწევს.

დღეს თელაველთა ერთ-ერთი უპირველესი საქმეა სწავლა.

ᲗᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲝᲜᲖᲔ

ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲘᲗ, ჯერ კიდევ მეფე ერეკლეს კარზე იდგმებოდა წარმოდგენები, გასულ საუკუნეში სემინარიასთან შეიქმნა თეატრი, სადაც თამაშდებოდა „სასკოლო დრამები და კომედიები“. საქველმოქმედო წარმოდგენები იმართებოდა წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში.

პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე ერთგან შენიშნავდა: ახალი ქართული თეატრის აღორძინების საქმეში თელავის თეატრმა ბევრი გააკეთაო.

თელავში გადადგეს პირველი ნაბიჯები კოტე მარჯანიშვილმა და სანდრო ახმეტელმა, ლადო ალექსი-მესხიშვილმა და დავით აწყურელმა, მაკო საფაროვა-აბაშიძემ და თამარ ჭავჭავაძემ, სერგო და ბუხუტი ზაქარიაძეებმა...

არსებობის ორმოცი წლის მანძილზე თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე იდგმებოდა პროფესიონალად მაღალ დონეზე შესრულებული წარმოდგენები.

ამ თეატრს იცნობენ მთელ საქართველოში. იგი ყველა ქალაქისა და რაიონის სასურველი სტუმარია.

თელაველი თეატრალები უფრთხილდებიან კარგ სახელს.

ეს სახელი ათეული წლების დაუღალავი შრომით შეიძინეს. სეზონის განმავლობაში რვა ახალ სპექტაკლს ამზადებენ. ცდილობენ არ გააწბილონ მაყურებელი. ამ სულისკვეთებით მუშაობს მთელი დასი, ახალგაზრდები და ხანდაზმულებიც. ჰყავთ სახალხო არტისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების კი ცხრა მსახიობი ატარებს.

ხარობს ქალაქის უძველესი და უმდიდრესი თეატრალური ტრადიციები.

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲐᲮᲚᲐ ბევრს ლაპარაკობენ თელავის სიმდიდრეზე.

წვრილწვრილი სახაბაზოები და სათოქმაჩოები, დაბალი, მინგრეული ქოხმახები უკვე შორეულ მოგონებად იქცა.

გაიჭრა ახალი ქუჩები და სკვერები. აშენდა საცხოვრებელი სახლები და დაწესებულებები. გაიხსნა უნივერსალური მაღაზიები „ყაღორი“, „განთიადი“, „ბავშვთა სამყარო“.

ააგეს საუკეთესო სტადიონი, სტუდენტთა ქალაქი, 390 დამსვენებლისათვის განკუთვნილი ტურისტული ბაზა.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება ახალი 300-საწოლიანი საავადმყოფო.

ყველაფრის ჩამოთვლა გაგვიჭირდება. იქვე კი ვიტყვით, რომ უკანასკნელ ხუთ წელიწადში თელავის ახალმშენებლობებზე 60 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

კოპწია ქალაქს შეუძლია ასეთი ხელგაშლილობა.

თელავი სამრეწველო ქალაქია. აქ ჩამოსხმულ ღვინოებს შრავალგზის უსახლებიათ რესპუბლიკა, ბევრჯერ დაუმსხურებიათ პრიზები, ოქროსი და ვერცხლის მედლები.

აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის კონტურები ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს გამოჩნდა. მას შემდეგ საწარმო ყოველდღიურად იზრდება. დღეს თითქმის მთელი საქართველოს აბრეშუმის პარკს ამუშავებს. სპეციალისტები დიდად აფასებენ აქაური ხამი აბრეშუმის ძაფს, რომლის ხარისხს ხელს უწყობს შესანიშნავი ბუნებრივი პირობები. ძაფზე დიდი მოთხოვნაა ჩვენში და საზღვარგარეთ: იტალიაში, შვეიცარიაში, იაპონიაში.

ახალგაზრდა საწარმოა წინდების ფაბრიკა. ახალგაზრდულია მისი კოლექტივი, ჭაბუკები და ქალიშვილები ყოველწლიურად 4 მილიონამდე წინდას ქსოვენ და ქვეყანას დიდ მოგებას აძლევენ.

სადახლო და შროშა, ლოპოტა და მოლითი, აი ამ სახელწოდებების მარმარილოებს აძუშავებს თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატი. განსაკუთრებული ხარისხისაა თეთრი, მონაცრისფერო ლოპოტა. იგი ძირითადად მოსაპირკეთებლად გამოიყენება.


ლოპოტისაა სასტუმრო „ივერიის“ კიბეები, მოსკოვის სასტუმრო „როსია“ და მეტროს ცალკეული სადგურები ამ მარმარილოთია მოპირკეთებული.

ლოპოტა დაიხარჯა ვარშავის კულტურის სასახლის მშენებლობაზე.


აქაური მარმარილო იგზავნება იაპონიასა და ჩეხოსლოვაკიაში.

ლოპოტა ღირსეულ მეტოქეობას უწევს იტალიის მარმარილოს. ამ ვანძის საბადოები ძალიან დიდია და კომბინატის მოგება სულ იზრდება.

აქაც ჩამოთელა შორს წასვლაზე...



სურათებზე: ზევით — ერეკლეს სახასახლე; ქვევით — საცხოვრებელი სახლი ცენტრალურ ქუჩაზე.



ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ

ᲪᲝᲪᲮᲚᲝᲑᲡ, ღღითიდღე იზრდება უძველესი და თანამედროვე ქართული ქალაქი.

ერეკლესეული სასახლე და გოდოლებიანი გალავანი მდიდრულ კოლორიტს ქმნიან.

თანამედროვე სტილის ნაგებობანი კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ თელავი ფეხდაფეხ მისდევს საუკუნეს.

მალე პედაგოგიური ინსტიტუტი ახალსახლობას იზეიმებს. მაშინ აღინიშნება სასწავლებლის 30 წლის იუბილეც.

აშენდება ავეჯის საწარმო, ზუსტი ხელსაწყოების ქარხანა, ახალი საცხოვრებელი სახლები.

ქალაქს დაამშვენებს მრავალსართულიანი სასტუმრო „კახეთი“.

თეატრალური ტრადიციები ახალ სასახლეში გაგრძელდება.

დარეჯან დედოფლის სათვალთვალო კოშკთან აღიმართება „პატარა კახის“ ძეგლი.

პენსიონერები თავიანთი დანაზოგებით აშენებენ ბიბლიოთეკებს, აწყობენ სამხატვრო გამოფენებს.

ახალგაზრდები თვალისჩინივით უფრთხილდებიან ერის კულტურული წარსულის ძეგლებს, სიახლეც საკუთარი ხელებით შემოაქვთ.

ყოველივე ამას ჰყავს მოწმე, ქალაქის შემატიანე, წარსულისა და აწმყოს მხილველი, შეუმცდარი შეძახებელი: — თელავში კვლავ ჭარმაგად შრიალებს რუსთაველის ასაკის ვეება ჭადარი!

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
გაზეთ „ალაზნის განთიადის“ რედაქტორი,

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲥᲣᲠᲜᲣᲚᲘ,
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.

წვეთებად დაწურული სურნელება

ᲗᲝᲛᲚᲘᲐᲜᲘ მთები და... ვარდები. ნუ გიკვირთ, საქართველოში ასეა.

კავკასიონის მთების ძირი, აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი თვალწარმტაცი კუთხე, მდინარე ლოპოტას ხეობა.

მაღლა თოვლი ბზინავს, დაბლა კი ვარდები ღვივიან წითლად.

მზის სხივებმა ოქროსფრად მოწვიმეს მოლურჯო მწვერვალები და ათასფერ ჩქერებად გადმოეშვნენ ალაზნის ველზე.

ჯერ რიგიანად არც კი გათენებულა და ვარდებს უკვე მოჰფენია ხალხი. ცქრიან ვარდს სწრაფად სწყვეტენ თითები.

დაჰგუგუნებენ გოგო-ბიჭები თითოეული ვარდის ბუჩჩს. ლოყებშეფაკლული ვარდებით ივსება გოდრები.

სურნელოვანი ზვრების ბარაქა თელავის ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობისაკენ იღებს გეზს.

თელავიდან 25 კილომეტრზეა ქარხანა. სოფელ ნაფარეულთან ახლოს ჰიშტრიდანვე მამაპაპისეული ცაცხვების ხეივანი გეგებება და თავის ჩრდილებქვეშ მიგაცილებს ქარხნამდე. სწორედ აქ ხდება სასწაული. ქრება ვარდის ფურცლის ელვარება...

სურნელება კი წვეთებად იწურება... და მიიღება ვარდის ზეთი, სურნელოვანი და საამო

ვარდის ზეთი ძველთაგანვე იყო ცნობილი საქართველოში. იგი ჩვენში სამკურნალოდ გამოიყენებოდა. „ვარდისა ზეთი და ვარდინა წყალი თავსა შეიცხეთ და იძინოსო“, — წერს ზაზა ფანასკერტელი.

სამრეწველო ვარდის პლანტაციები საქართველოში პირველად 1897 წელს გაშენდა. პირველი მსოფლიო ომის დროს პლანტაცია განადგურდა. მხოლოდ 1936 წელს გახდა შესაძლებელ მისი აღდგენა. ქარხანაც იმ პერიოდში აიგო.

ვარდის ფურცელს ადრე პრიმიტიული წესით ამუშავებდნენ — ერთი ტონა ვარდის ყვავილისაგან 200-300 გრამ ეთეროვან ზეთს იღებდნენ. ახლა მექანიზაციის დახმარებით ერთ კილოგრამამდე გაიზარდა ვარდის ზეთის გამოსავლიანობა. საპარფიუმერიო კოსმეტიკასა და კვების მრეწველობას სულ უფრო მეტი სურნელოვანი ზეთი სჭირდება. ამიტომაც ყოველწლიურად დიდდება ეთეროვანი კულტურების ფართობები, ინერგება მათი მოყვანის პროგრესული მეთოდები, უმჯობესდება ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგია.

საქართველოში ეთერზეთოვანი კულტურების მოყვანისა და დამუშავების მდიდარი გამოცდილება დაგროვდა. ამიტომ შეიკრიბნენ ამ დარგის გამოჩენილი სპეციალისტები IV საერთაშორისო კონგრესზე თბილისში.

საიდანღა არ იყვნენ: რუმინეთიდან და ბულგარეთიდან, ამერიკიდან და არგენტინიდან, ბელგიიდან და ბრაზილიიდან, იაპონიიდან და იუგოსლავიიდან, იტალიიდან და კუბიდან, შვეციიდან და ჩეხოსლოვაკიიდან. საფრანგეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან.

ერთ-ერთი საჩვენებელი ობიექტი კონგრესის მონაწილეთათვის თელავის ეთერზეთების ქარხანა იყო.

ნანახმა გააოცა სტუმრები, შთაბეჭდილება უხვი იყო...

„ძვირფასო კოლეგებო, ძვირფასო კახელებო!

კონგრესზე შორეული ბრაზილიიდან მოვედი. იქ მე სოფლის მეურნეობით ვარ გატაცებული, ეთეროვან კულტურებს კი ყველაზე წინ ვაყენებთ.

მინდა მადლობა გიძღვნათ გულთბილი მიღებისა და იმის გამო, რომ აქ ასე გიყვართ და პატივსა სცემთ ეთერზეთოვან კულტურებს“.

ლუ სანტოსი, ბრაზილიის დელეგაციის წევრი.

„მიხარია, რომ ვარ ამ მშვენიერ ქვეყანაში, რომელიც ასე საოცრად ჰგავს ჩემს იტალიას. ბევრი მსმენია თამარ მეფეზე, მის ღვთაურ სილამაზეზე. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ მშვენიერებას აცხოველებდა სხვადასხვა ნელსაცხებელი და ზეთი, ის, რაც საჭიროა სილამაზისათვის და რასაც ჩვენ ამჟამად ვემსახურებით.

გვყურებ ქართველ ქალებს და ყოველ მათგანში თამარ მეფის ვხედავ. სასიამოვნოა, რომ მათ იციან ეთერზეთების ნაწარმის კარგად გამოყენება. გმადლობთ ყველაფრისათვის“.

პაულ რამშტი, პროფესორი, ეთეროვანი კულტურების ვეგეტაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პრეზიდენტი (მილანი, იტალია).

„ძალიან მაინტერესებდა, როგორ ამზადებდნენ თქვენთან პარფიუმერიულ ნაწარმს და აქვს თუ არა ის ხარისხი, როგორიც უნდა ჰქონდეს მას ამ მშიერ ქვეყანაში. აქვე დავძენ, რომ ნასიამოვნები დავრჩი არა მარტო გამოფენაზე გამოტანილი ნაწარმით, არამედ, შეიძლება ითქვას — მეორეხარისხოვანით“.

პარლ მანი პარფიუმერიისა და ორგანული ქიმიის სპეციალისტი, ნიუ-იორკელი ბიზნესმენი.

...იკრიფება ვარდი და მოედინება სურნელოვანი სითხე. სულ-სულად ელიან ყველგან: თბილისში, რიგაში, მოსკოვში. ლენინგრადში...

საამაყოა მისი ასეთი წარმატება, იგი ხომ ჩვენებურია, ქართულია. თელავური.

ᲜᲐᲖᲘ ᲨᲐᲛᲐᲜᲐᲣᲠᲘ

„საქმოგლო“ რამდენიმე წერილი თუ ინფორმაცია მიეძღვნა ქართული ენისა და კულტურის უცხოელ მკვლევარებს (რენე ლაფონს, რიჰარდ მეკელაინს, გრიგოლ შერაძეს, ლაიონელ ტარდეს). მაგრამ ვფიქრობთ, რომ საჭირო ამ ადამიანთა ცხოვრება ქვრივ ფაროლდ, ჟიზანდასახულად გაშუქდეს. ამიტომ ამიერიდან რუბრიკით „ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები“ რეგულარულად გამოვაქვეყნებთ წერილებს ქართული ენისა და ლიტერატურის უცხოელ მკვლევარებზე, ქართველოლოგებზე. „საქმოგლოს“ დღევანდელ ნომერში წაიკითხავთ სერგო ფურცნაძის წერილს „ქერარ გარიტი“, შაბლონს ნომერში კი დაიბეჭდება წერილები ჰაერომირ იედლიჩკაზე, იულიუს ასფალგზა და სხვებზე.

თუ ჩვენი საზღვარგარეთელი მკითხველები გამოეხმაურებიან ამ რუბრიკას და მოგვაწვდიან მასალებს (წერილებს, მოგონებებს, ფოტოსურათებს) ქართული კულტურისა და ლიტერატურის უცხოელ მკვლევარებზე, რედაქცია მათ სიამოვნებით გამოაქვეყნებს.



ქერარ გარიტი

ლიტერატურის ყველაზე დიდ სპეციალისტებს.

ამის თაობაზე ჟურნალ „რევიუ დე კარტველოლოჟის“ დიდერჭტორ-რედაქტორი პროფესორი კალსტრატე სალია წერდა: „უერარ გარიტმა უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ მწერლობას, იგი დაუღალავად, განსაკუთრებული სიყვარულით, ზუსტი მეცნიერული მეთოდებითა და პუნქტუალობით ეწევა მეცნიერულ მუშაობას, მტვერს აცლის დღემდე უცნობ ქართულ ხელნაწერებს, აცნობს მათ უცხოეთის ხალხს და ამით დიდი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის პრობლემების შესწავლაში“.

უერარ გარიტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული აგიოგრაფიული ძეგლების შესწავლის საქმეშიც. საინტერესოა მკვლევარის ნაშრომი, მიძღვნილი ქართული კალენდრისადმი, რომელიც შენახული იყო სინას მთის მე-10 საუკუნის ქართულ ხელნაწერებში.

პროფესორი გარიტი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს, ყურნალ-გაზეთებში სისტემატურად აქვეყნებს რეცენზიებსა და ცალკეულ გამოკვლევებს. 1966 წელს ის ჩამოვიდა საქართველოში, აქტიური მონაწილეობა მიიღო გენიალური რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის დღესასწაულში. გარიტი პირადად იცნობს ბევრ ქართველ მეცნიერს და აქვს მათთან მიმოწერა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ურთიერთობა აწ განსვენებულ პროფესორ ილია აბულაძესთან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება უერარ გარიტის ძალზე საგულისხმო წერილების მთელი დოსიე, რომელშიც მკვლევარი ეხება ლიტერატურის მნიშვნელოვან პრობლემებს.

პროფესორმა გარიტმა ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა აკადემიკოს აკაკი შანიძის ცხოვრებასა და მეცნიერულ საქმიანობას. წერილი გამოქვეყნდა ფრანგული ჟურნალის „რევიუ დე კარტველოლოჟის“ 1968 წლის 25-ე ტომში სათაურით „აკაკი შანიძე — ქართველოლოგთა მასწავლებელი“.

პროფესორი უერარ გარიტი ქართველი ხალხის დიდი მეგობარია, თავისი შრომებით იგი კიდევ უფრო ამტკიცებს ბელგიელი და ქართველი ხალხების მეგობრულ ურთიერთობას. დიდია მისი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე, რასაც ჩვენი ხალხი ჯეროვნად აფასებს. ვუსურვოთ პროფესორ უერარ გარიტს ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებები თავის სამეცნიერო მოღვაწეობაში.

სერგო ფურნავა

ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბელგიის სამეფო აკადემიის წევრი, აღმოსავლეთმცოდნეობის ჟურნალ „მუზეონის“ დირექტორი უერარ გარიტი წლების განმავლობაში დაუღალავ მეცნიერულ მუშაობას ეწევა ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის. პროფესორმა შესანიშნავად იცის არა მარტო ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, რომელიც მისი კვლევის საგანია, არამედ ახალიც. ქართული ენის ცოდნა მკვლევარს საშუალებას აძლევს ღრმად შეისწავლოს ქართული ლიტერატურის ნაკლებად გამოკვლეული ძეგლები და მათს შესახებ გამოაქვეყნოს შრომები.

1957 წლიდან დღემდე უერარ გარიტს გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი ნაშრომი სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის 20 დიდტანიანი წიგნი. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ნაშრომები ქართული ენის საკითხებზე: „სინას მთის ქართული ხელნაწერები“, „ქართული ლიტერატურა და შუა საუკუნეების კულტურის ისტორია“, „ივანე ზოსიმეს „პალესტინა-საქართველოს კალენდრის“ კომენტარები“, „მიხეილ თარხნიშვილი“, „სამი ბაბილონელი ყრმის მოქცევა“, „ძველი ქართული ენის ძეგლები“, „ფსალმუნთა კრიტიკული გამოცემა“, „აპოკალიფსის ქართული ვერსიის კრიტიკული გამოცემა“, „წმინდა მართას ცხოვრების ქართული ვერსია“, „ქართული სასულიერო ლიტერატურა ფრანგულ სასულიერო ლექსიკონებში“, „კორნელი კეკელიძის ნაშრომების ბიბლიოგრაფია“, „აკაკი შანიძის ნაშრომების ბიბლიოგრაფია“, „აკაკი შანიძე — ქართველოლოგთა მასწავლებელი“, „ილია აბულაძის ნაშრომების ბიბლიოგრაფია“ და სხვა.

უერარ გარიტი დაიბადა 1914 წლის 15 იანვარს უდენგ-გოეგნიესში (ბელგია). ჯერ კიდევ ლუვენის პროვინციის კოლეჯში სწავლის პერიოდში დიდი ინტერესი გამოიჩინა უცხოური ენებისადმი, წარმატებით შეისწავლა ძველი ბერძნული, ლათინური, არაბული, ანტიკური ლიტერატურა.

1932 წელს 18 წლის ახალგაზრდა ლუვენის უნივერსიტეტში შევიდა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1936 წელს.

ბელგიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პრეზიდენტი ეტიენ ლამოტი თავის ნაშრომში „უერარ გარიტი“, რომელიც გამოქვეყნდა ლუვენის საერთაშორისო ლინგვისტური დოკუმენტაციის მოამზე „ორბისში“ 1960 წელს, დიდად აფასებს უერარ გარიტის მეცნიერულ საქმიანობას. იგი წერს „უერარ გარიტი 20 წლის განმავლობაში მთელი მგზნებარებით სწავლობდა ძველი ეგვიპტის ქრისტიანი კოპტების ენას... უერარ გარიტი შეჯდა ჯოჯოხეთის ცხენზე, რომელსაც იგი უნდა მიეყვანა კოპტურიდან — არაბულამდე, არაბულიდან — სირიულამდე, სირიულიდან — სომხურამდე, სომხურიდან — ქართულამდე“.

მეტად ნაყოფიერია მკვლევარის მუშაობა ვატიკანის ბიბლიოთეკაში 1938-1946 წლებში. აქ მას ხელთ ჰქონდა ძვირფასი მასალები, ხელნაწერები, კატალოგები, ლექსიკონები, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს, მის შემდგომ მეცნიერულ მოღვაწეობაში.

1946 წლიდან უერარ გარიტს ლუვენის უნივერსიტეტში იწვევენ, სადაც იგი დღემდე წარმატებით კითხულობს ლექციებს.

1959 წელს უერარ გარიტმა მიიღო ფრანკის პრემია, რომელიც პირადად გადასცა ბელგიის მეფე ბოდუენმა. ამ პრემიით ბელგიაში აჯილდოებენ აღმოსავლეთის ძველი ქრისტიანული

უცხო სიტყვები ქართულში

სხვა ერებთან ურთიერთობა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება ენაში უცხო და ახალი სიტყვების შემოჭრას იწვევს. ქართულ ენაში მოზღვარი ცვლილებები განსაკუთრებით შეიამჩნევა ხდება იმ ადამიანებისათვის, რომლებიც საშოგლოს დიდი ხნის წინათ მოსწყდნენ და ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური საქმის კურსში აღარ არიან. და აი, ზოგჯერ, გვიხდება საყვედურების მოსმენა — ენა ძალზე გადაიტვირთა უცხო სიტყვებითო.

სწორედ ქართული ენის სიწმინდეზე ზრუნვამ აიძულებინა ხელში კალამი ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეს დავით ბერეკაშვილს. გელგიიდან რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილში იგი კრიტიკულად უდგება იმ სიტყვების ხმარებას, რომლებიც ასე „შეერივნენ“ ქართულ ენას.

რა თქმა უნდა, ჩვენი თანამემამულის წერილში ზოგი რამ საგულისხმო და მისაღებია, რისთვისაც რედაქცია გატყუ დავითს დიდ მადლობას მოახსენებს, მაგრამ ავტორის ბევრ შენიშვნას ვერ დავემთანხმებით. წამოჭრილ საკითხს მეტი ნათელი რომ მოეფინოს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგეს მიხეილ ჯაბაშვილს მივმართეთ.

საქართველოს ისტორიულად სხვადასხვა ქვეყანასთან ჰქონდა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა. ეს გარემოება იწვევდა უცხო ენებიდან სიტყვების სესხებას. დროთა ვითარებაში ნასესხები სიტყვები მეტ-ნაკლებად სახეს იცვლიდა და ეგუებოდა ჩვენს ენას. ყველამ შეიძლება არც კი იცოდეს, რომ სიტყვები: **ბარათი, საათი, სუფრა, ხანჯალი** — არაბულიდან არის შემოსული, ხოლო **ბალიში, ბამბა, ბულბული, ფანჯარა, ქამარი, ქუჩა, ჩანგალი** — სპარსული წარმოშობისაა; **კალამი, მელანი, ნავი** — ბერძნულია, ხოლო **ოდა, ოთახი, ქურჭი, ყუმბარა** — თურქული; **ბოლთა** („ბოლთას სცემს“) იტალიური წარმოშობისად ითვლება (იტალიურად: ვოლტა — „მოტრიალება“), **ბატონი** — ქართულ ნიადაგზე შეცვლილი **პატრონია** (ლათინურად: პატრონუს).

დღეს, როდესაც ვლაპარაკობთ უცხო სიტყვებზე, ამ რიგის სიტყვები არ იგულისხმება. უცხო ანუ ევროპული წარმოების სიტყვები — ეს არის უპირატესად ბერძნულ-ლათინური ძირებიდან ნაწარმოები სიტყვები, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე ენებში. ასეთი სიტყვების ერთი წყება ძველადვეა ქართულში შემოსული. დიდი ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ბლომად გვხვდება ისეთი უცხო სიტყვა, როგორიც არის: **ისტორია, მათემატიკა, გეომეტრია, თეატრი, კატეგორია, ფიზიონომია** (საბას მიხედვით — თიატრო, კათიღორია, ფისიოღნომია) და სხვა.

მე-19 საუკუნეში იმდენად მოძალებულა უცხო სიტყვები, რომ გაჩენილა საჭიროება საგანგებო ლექსიკონისა და უკვე 1904 წელს გამოდის ცნობილი საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“.

რა იწვევს დღეს უცხო სიტყვათა შემოსვლას? ერთი — უცხო ენებიდან ითარგმნება დიდძალი ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთებში ყოველდღიურად ქვეყნდება აუარებელი ინფორმაცია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მეორე — სწრაფად ვითარდება მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგი. ამის შედეგად ჩნდება ახალი ცნებები, რომელთაც, ბუნებრივია, ქართული შესატყვისი არა აქვს. მარტო ბოლო 15-20 წელიწადში ქართულში დამკვიდრდა ისეთი სიტყვები, როგორიც არის: **კიბერნეტიკა, ბიონიკა, ელექტრონიკა, ტელემექანიკა, ტელევიზია, კოსმონავტიკა** და ბევრი სხვა.

ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიაში ხმარებული საერთაშორისო სიტყვები ჩვეულებრივ გადმოდის უთარგმნელად (მაგალითად, ისეთები, როგორიც არის: **კარბიურატორი, ტრანსპორტიორი, სელექცია...**)

ოციან წლებში იყო ცდები გადმოექართულებინათ ყველა უცხო სიტყვა და თხზავდნენ შესატყვისებს ისე, რომ ანგარიში არ ეწეოდა ქართული ენის ბუნებას. ამის შედეგად გაჩნდა ხელოვნური სიტყვები: **რონდა** (ვაგონის ნაცვლად), **ანგარანი** (კანტორის აღსანიშნავად), **ელსმენი** (ტელეფონის შესატყვისად), **გაფრენი** (ექსკურსიის ბადლად) და სხვა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ასეთი მუშაობის დადებითი შედეგიც. ქართულ ენაზე ამეტყველდა მეცნიერების სხვადასხვა დარგი. ზოგი ტერმინი იმდენად გამძლე გამოდგა, რომ მტკიცე ადგილი დაიჭირა ჩვენს ენაში. ასეთებია „თბო“-თი ნაწარმოები სიტყვები **(თბოტექნიკა, თბომავალი), სინჯარა, წნევა** და სხვა.

დღეს უკვე აღარავინ არის იმის მომხრე (და შეუძლებელიც აა), რომ ითარგმნოს: ავტომობილი, ტრამვაი, ტრაქტორი, რადიო, ტელეგრაფი, ექსპრესი, მეტროპოლიტენი, ტელევიზორი, ტრანზისტორი და მრავალი სხვა.

ზოგჯერ უცხო სიტყვას ქართული შესატყვისი აქვს, მაგრამ იგი მაინც შემოდის, ოღონდ გარკვეული მნიშვნელობით. მაგალითად, **პრეზიდენტი** ფრანგულია და „თავმჯდომარეს“ ნიშნავს. ქართულში ეს სიტყვა იხმარება ზოგი თანამდებობის აღსანიშნავად და მას „თავმჯდომარით“ ვერ შევცვლით. არის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მაგრამ — კრების თავმჯდომარე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ასევეა ლიდერი, ჰეგემონია, ექსპორტი, იმპორტი და სხვა.

ამგვარი უცხო სიტყვები სრული უფლებით შედის ჩვენი ენის ლექსიკურ მარაგში. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში (მთავარი რედაქტორი — პროფესორი არნოლდ ჩიქობავა, 1950-1964) ვიპოვით ენაში საყოველთაოდ გავრცელებულ უცხო სიტყვებსაც. მათ უწერია წარმომავლობა და ხშირ შემთხვევაში ახლავს სტილისტური აღნიშვნა, მითითებულია მათი ხმარების სფერო. ეს სიტყვები ლექსიკის გამდიდრების ერთერთი წყაროა. ენაში არსებობის უფლებას პოულობს ისეთი სიტყვები, რომელთაც ქართული შესატყვისი არ ეძებნება.

მიხეილ ჯაბაშვილი



შეხვედრა მზესთან.

ალექსანდრე საყაროვის ფოტო

ქრონიკა და ხელოვნება

შრანგული პოეზიისა და თეატრის საღამო უნივერსიტეტში

თბილისის უნივერსიტეტის საქართა დარბაზი მაყურებლით აივსო.

ფარდა გაიხსნა და ფრანგულად ალაპარაკდა ადამიანი, რომელსაც უველა იცნობს და პატივსა სცემს უნივერსიტეტში. ეს არის ჟორჟ სუდრესი — პარიზიდან მოწვეული მასწავლებელი, რომელიც ქართველ ახალგაზრდებს სამი წელიწადია ასწავლის თავის დედაენასა და ლიტერატურას. და აი ახლა სცენაზე სწორედ ისინი არიან: კითხულობენ რონსარის, ლამარტინის, ვერლენის, არაგონის, პრევერის ლექსებსა და პოემებს.

მაყურებელი მოხიბლა თანამედროვე გამოჩენილი ფრანგი დრამატურგის ჟან ანუის კომედიამ „ქურდების მეჯლისმა“. სპექტაკლი დადგა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის რეჟისორმა გურამ ჩერქეზიშვილმა. როლები განასახიერეს ჟორჟ სუდრესმა და ფრანგული განყოფილების IV კურსის სტუდენტებმა.

სპექტაკლის, და საერთოდ მთელი საღამოს მსვლელობის წარმატებას ხელი შეუწყო შესრულებელთა ჩინებულმა ფრანგულმა.

გამარჯვებული დაგვიბრუნდა

იაპონია... მიური ტამაკის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი. აქ თავი მოუყრია მრავალ, უკვე ჩამოყალიბებულ და აღიარებულ მომღერალს ამერიკისა და ევროპის თითქმის ყველა წამყვანი საოპერო თეატრიდან. მათ შორის არის ჩვენი ქვეყნის წარგზავნილიც — საქართველოს სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი. ამ რამდენიმე წლის წინათ აქ, ამავე კონკურსზე ჩვენი თანამემამულე ლამარა ჭყონია ბატერფლაის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად აღიარეს და ლაურეატის წოდებითა და ოქროს თასით დააჯილდოეს. ახლა კი, მედეას უნდა დაეცვა ქართული ვოკალური სკოლის დირსება. კონკურსი განსაკუთრებული რთული და ძლიერი შემადგენლობით გამოირჩეოდა, რამდენადაც მონაწილეთა ასაკი არ იყო შეზღუდული. მედეა ამირანაშვილმა ღირსეულად შეასრულა თავისი მისია — მან მესამე პრემია და თასი მიიღო. ეს ქართული ვოკალური სკოლის კიდევ ერთი აღიარებაა საერთაშორისო ასპარეზზე.

თეატრების საგასტროლო გზები

ძალზე მრავალფეროვანი და საინტერესოა თბილისის თეატრების საზაფხულო აფიშა. პირველ ივლისს ვოლგოგრადში გასტროლები დაიწყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა უკვდავი „დაისით“. გასტროლების პერიოდში ჩვენი სულოვნების წარგზავნილები მასპინძლებს უჩვენებენ ჩაიკოვსკის „პიკის ქალს“, ბიზეს „კარმენს“, მასკანის „სოფლის პატიოსნებას“, ლეონკავალოს „ჯამბაზებს“, ვერდის „რიგოლეტოსა“ და „აიდას“, დონიცეტის „დონ-პასკუალეს“, როსინის „სეველიელ დალაქს“, პუჩინის „ტოსკას“ და „ჩიო-ჩიო-სანს“, ბალეტებს — დავით თორაძის „ჯორდას“, ჩაიკოვსკის „გედის ტბას“, მინკუსის „დონ-კიხოტსა“ და „ბაიადერას“, ადანის „ჟიზელს“.

გასტროლები გმირ ქალაქში ერთ თვეს გასტანს.

რუსთაველის სახელობის თეატრი ახლახან დაბრუნდა პოლონეთსა და გერმანიაში გასტროლებიდან და ცხადია, ამ ზაფხულს აღარ გავა თბილისიდან. თეატრში ამჟამად გაცხოველებით მუშაობენ ახალ დადგმებზე.

ზაფხულის პერიოდში რესპუბლიკის მშრომელებს ემსახურება მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. კახეთში გასტროლების დამთავრების შემდეგ, იგი დასავლეთ საქართველოს ეწვია. საგასტროლო რეპერტუარში სხვა დადგმებთან ერთად არის აგაკი გეწაძის პიესაც „წმინდანები ჯოჯოხეთში“. მასობრივი მაყურებლისათვის იგი იდგმება სტადიონებზე, მოედნებზე, ღია ცის ქვეშ და დიდი მოწონებით სარგებლობს.

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა სეზონი შოთა ჯოჯუას ოპერეტით „სტუმარი და მასპინძლის“ პრემიერით დაამთავრდა და 5 ივლისიდან საგასტროლო გზებს გაუყვა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. საესტრადო ტურნეში იმყოფებიან აგრეთვე შაუმიანის სახელობის სომხური და გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრები.

გასტროლების პარალელურად, თეატრები ახალ დადგმებზე მუშაობენ. მარჯანიშვილის თეატრი ამზადებს გიგა ნახუცრიშვილის „ალი-ბაბას“, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანს“, შილერის „დონ კარლოსს“. მუსკომედიის თეატრი მუშაობს ბიძინა კვერნაძის ოპერეტა „თბილისელ მედეაზე“.

ახალ სეზონს თეატრები ახალი სპექტაკლებით შეხვდებიან.

ქაჯერად თბილისში

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა მხატვარ ალექსანდრე მერვაშიძის ნამუშევართა გამოფენა.

გამოფენა გახსნა მუზეუმის დირექტორმა, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა. ალექსანდრე მერვაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენება წაიკითხა ქეთევან ბაგრატიშვილმა. სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი.

მხატვარმა თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი სამშობლოდან დაშორებით, საფრანგეთში გაატარა და იქ გარდაიცვალა 1968 წელს. ხანდაზმულმა ხელოვანმა სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე სამშობლოს საჩუქრად გამოუგზავნა თავისი ნამუშევრები და პირადი არქივი.

ქართველ საზოგადოებრიობას აქამდე შესაძლებლობა ჰქონდა ალექსანდრე მერვაშიძის შემოქმედებას გასცნობოდა გამოფენაზე, რომლებიც შარშან ბიჭვინთასა და სოხუმში მოეწყო.

თბილისში გამართულ გამოფენაზე წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის 150-მდე ნაწარმოები.



სურათზე: თბილისის დინამოელები გოჩა გავაშელი და გივი ნოდია (ზოლიან მაისურებში) სახიფათოდ უტევენ მოსკოვის ცსკა-ს კარს.

ვალერიან გენგიურის ფოტო.

სპორტი

მეოთხედ!



საბჭოთა გოლიათების ბრწყინვალე გამარჯვებით აღინიშნა მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკური ჭიდაობაში კანადის ქალაქ ედმონტონში. ჩვენმა წარგზავნილებმა მოიხვეჭეს ოქროს 5, ვერცხლის 1, ბრინჯაოს 2 მედალი და კვლავ შეინარჩუნეს მსოფლიოში უძლიერესი გუნდის სახელი.

მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): **ბეორგე ბერჩიანუ** (რუმინეთი), ოლიმპიური ჩემპიონები **პეტრე პიროვი** (ბულგარეთი) და **იანოშ ვარგა** (უნგრეთი), **ხიდეო ფუძიმოტო** (იაპონია), ოლიმპიური ჩემპიონი თბილისელი **რომან რურუა** (საქართველო), **ვიქტორ იგუმენოვი** (მოსკოვის ოლქი), **ანატოლ ნაზარენკო** და **ვალერი რეზანცევი** (ორივე ალმაათიდან), **პერ სვენსონი** (შვეცია) და ლენინგრადელი **ანატოლ როშჩინი**.

ჩვენმა თანამემამულემ ერთმანეთის მიუოლებით დაამარცხა თურქი ჰიზირლი, ირანელი განბარი, იტალიელი დიეგო, იაპონელი ტანგუი და მეოთხედ ავიდა მსოფლიო ჩემპიონის საპატიო კვარცხლბეკზე.

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველთა სახელით გულითადად გილოცავთ, რომან, ახალ დიდ გამარჯვებას!

სურათზე: მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი რომან რურუა.

სპორტული გაფხული

ზაფხულის ცხელი დღეებია. ცხელა სპორტულ მოედნებსა და მძლეოსნურ ბილიკებზეც, საჭიდაო ხალიჩებსა და ჩოგბურთის კორტებზე...

პლანეტის სპორტულ ცხოვრებას ქართველი ჭაბუკებისა და ქალიშვილების შემარებებაც ემატება, გამარჯვებულის კვარცხლბეკს სხვებთან ერთად ისინიც ეპატრონებიან. ჩვენში თუ უცხოეთში იმედად როდი გაიგონებ, საქართველოს წარგზავნილმა გაიმარჯვა.

ამ უკანასკნელ სპორტულ მოვლენათა მიმოხილვა უმიზლდონის ჩოგბურთელთა ტურნირით უნდა დავიწყოთ. ლონდონში მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი შეეჯახა ჩეხოსლოვაკიის ტენისისტ ჰანა მანდლიკოვას. ორივე ტენისისტი ამ ტურნირში ერთმანეთს ხვდებოდა ფინალამდე. ჩეხოსლოვაკიის ტენისისტი ორჯერ გახდა ლონდონის ტურნირის ფინალისტი. ორივე ფინალში ის ამარცხებდა ინგლისელ ტენისისტებს. ალექსანდრე მეტრეველი ორჯერ ხდებოდა ტურნირის ფინალისტი. ორივე ფინალში ის ამარცხებდა ინგლისელ ტენისისტებს. ალექსანდრე მეტრეველი შეეჯახა ჩეხოსლოვაკიის ტენისისტ ჰანა მანდლიკოვას. ორივე ტენისისტი ამ ტურნირში ერთმანეთს ხვდებოდა ფინალამდე. ჩეხოსლოვაკიის ტენისისტი ორჯერ გახდა ლონდონის

საქართველოს ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1970-71 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე



სტუდენტები რუსთაველის გამზირზე. ედვარდ გიგილაშვილის ფოტო.

გეოლოგიური ფაკულტეტი

1. მარგი წიაღისეულის საბადოთა გეოლოგია და დაზვერვა; 2. ნავთობისა და გაზის საბადოთა გეოლოგია და დაზვერვა; 3. ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია; 4. მარგი წიაღისეულის საბადოთა დაზვერვის ტექნოლოგია და ტექნიკა.

სამთო ფაკულტეტი

1. სამარკშეიდერო საქმე; 2. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია; 3. მარგი წიაღისეულის გამდიდრება; 4. მიწისქვეშა ნაგებობათა და შახტების მშენებლობა; 5. სამთო მანქანები და კომპლექსები; 6. სამთო სამუშაოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია.

ენერგეტიკული ფაკულტეტი

1. ელექტრული სადგურები; 2. ელექტრული სისტემები და ქსელები; 3. სამრეწველო საწარმოთა და ქალაქების ელექტრომომარაგება; 4. თბოელექტროსადგურები; 5. სამრეწველო თბოენერგეტიკა; 6. ელექტრომძრავ და სამრეწველო დანადგართა ავტომატიზაცია.

მეტალურგიული ფაკულტეტი

1. შავი ლითონების მეტალურგია; 2. შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება; 3. ლითონმცოდნეობა, ლითონთა თერმული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია; 4. ლითონების წნევით დამუშავება; 5. საშემდუღებლო წარმოების მოწყობილობა და ტექნოლოგია.

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები; 2. სამშენებლო და საგზაო მანქანები და მოწყობილობა; 3. ავტომობილები და ტრაქტორები; 4. კვების წარმოებათა მანქანები და აპარატები. 5. შიგაწვის ძრავები; 6. თვითმფრინავმშენებლობა; 7. ხის დამუშავების ტექნოლოგია.

ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი

1. ელექტრული მანქანები და აპარატები; 2. ავტომატიკა და ტელემექანიკა; 3. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები; 4. სამრეწველო ელექტრონიკა; 5. საინფორმაციო-საზომი ტექნიკა; 6. რადიოტექნიკა; 7. ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის ტრანსპორტზე; 8. ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა; 9. რადიოკავშირგაბმულობა და რადიომაუწყებლობა; 10. მრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობა.

ქიმიური და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი

1. არაორგანულ ნივთიერებათა და ქიმიური სასუქების ტექნოლოგია; 2. ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია; 3. მჭიდა მასალების ქიმიური ტექნოლოგია; 4. ძირითადი ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის ტექნოლოგია; 5. კერამიკისა და ცეცხლმედეგების ქიმიური ტექნოლოგია.

არქიტექტურის ფაკულტეტი

1. არქიტექტურა.

სამშენებლო ფაკულტეტი

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 2. სამდინარო ნაგებობათა და ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობა; 3. სამშენებლო ნაკეთობათა და კონსტრუქციების წარმოება; 4. თბოაირომომარაგება და ვენტილაცია; 5. წყალმომარაგება.

სატრანსპორტო ფაკულტეტი

1. ვაგონმშენებლობა და სავაგონო მეურნეობა; 2. რკინიგზების მშენებლობა, ლიანდაგი და სალიანდაგო მეურნეობა; 3. საავტომობილო გზები; 4. ხიდები და გვირაბები; 5. რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრიფიკაცია; 6. რკინიგზების ექსპლოატაცია; 7. საავტომობილო ტრანსპორტი.

საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტი

1. ლითონთა ფიზიკა; 2. ნახევარგამტარები და დიელექტრიკები.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დღის განყოფილება

1. ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა; 2. გამომყვანი წარმოების მოწყობილობა და ქიმიური ტექნოლოგია; 3. სატრიკოტაჟო წარმოება; 4. სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია; 5. ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია; 6. ქსოვა; 7. პურის ცხობის, მაკარონისა და საშაქარლამო წარმოებათა ტექნოლოგია; 8. საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია და ორგანიზაცია.

დაგეძებენ, მოგელიან

სოსო ვანოს ძე ჯოჯაძეს,

დაბადებულს 1920 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში, ეძებენ დედა — **ვარო**, და — **ნინო**, ძმები — **დათო** და **ოთარ ჯოხაძეები**, მცხოვრებნი ჭანდარში.

გიორგი ვარლამის ძე გვიმრაძეს,

დაბადებულს 1919 წელს ონის რაიონის სოფელ შქმერში, ეძებენ დედა — **პელაგია**, და — **თამარ ხვედელიანი**, დისწულები — **ირა** და **ლილი ხვედელიანები**, მცხოვრებნი ონში, კლდიაშვილის ქუჩა № 15.

რუშა (რემა) მიხეილის ძე გვასალიას,

დაბადებულს 1921 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშში, ეძებენ დედა — **ძაძუ**, დები — **ცაცა** და **ვარდო გვასალიები**, მცხოვრებნი სოფელ ხორშში.

ვლასი სამსონის ძე ანთიძეს,

დაბადებულს 1905 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხევში, ეძებს მეუღლე — **ვენერა**, შვილები — **დარიკო** და **ავთანდილ ანთიძეები**, მცხოვრებნი თბილისში, ფიროსმანის ქუჩა № 8.

ასლან სანდერის ძე დუმბაძეს,

დაბადებულს 1917 წელს ქობულეთში, ეძებს და — **სურიე დუმბაძე**, სიძე — **ჯემალი**, დისწულები — **რეზო**, **ასლან**, **მანანა შამილიშვილები**, მცხოვრებნი ქობულეთში, ლენინის ქუჩა № 310.

ვასილ ილიას ძე ლაპიაშვილს,

დაბადებულს 1921 წელს წითელ წყაროში, ეძებენ დედა — **სალომე**, და — **ლილი ბეგიაშვილი**, მცხოვრებნი წითელ წყაროში, სტალინის ქუჩა № 66.

სევასტი ივანეს ძე ენუქიძეს,

დაბადებულს 1919 წელს საჩხერის რაიონის სოფელ წითელსოფელში (ძველად იმაწმინდა), ეძებენ ძმა — **ნოე**, და — **ოლია ენუქიძე-გაბაძე**, მცხოვრებნი სოფელ წითელსოფელში.

გოგი აბრამის ძე ხუნაშვილს,

დაბადებულს 1915 წელს საღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში, ეძებენ დედა — **თამარი**, ძმა — **სპირიდონ ხუნაშვილები**, მცხოვრებნი საღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში.

ზაქარია დიმიტრის ძე ბუზარიაშვილს,

დაბადებულს 1917 წელს სოფელ საგარეჯოში, ეძებენ დები — **თამარ**, **ნინო**, **მარიამ ბუზარიაშვილები**, მცხოვრებნი თბილისში, არაგვის ქუჩა № 9.

აბესალომ იოსების ძე ოგოლაძეს,

დაბადებულს 1922 წელს თბილისში, ეძებს დედა — **ნინო (ჟუჟუნა) სოლომონის ასული ობოლაძე**, მცხოვრები თბილისში, ახუნდოვის ქუჩა № 9.

ქარ-თული სამზარეულო

ვაზის ფოთოლში შეხვეული ტოლმა

ხუთასი გრამი ცხვრის, ბატკნის ან ძროხის რბილი ხორცი ქონიანად გარეცხეთ, დაჭერით, დაუმატეთ დაჭრილი ხახვი, ხუთი-ექვსი ღერი ქინძი და ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ. დაკეპილ ხორცს დაუმატეთ დანაყილი პილპილი, მარილი, გათქვეფილი ერთი კვერცხი და ჯარგად აზილეთ. აზელისას ცოტა წყალი დაუმატეთ. რომ ნაზი გამოვიდეს. გადარჩენულ გარეცხილ ვაზის ფოთოლს დაასხით მდუღარე წყალი, წამოადუღეთ, შემდეგ ამოალაგეთ და შეაგრილეთ. ვაზის თითოეულ ფოთოლზე მოათავსეთ კაკლის ოდენა ფარში და შეახვიეთ. ჩაალაგეთ არაღრმა ქვაბში, დაასხით იმდენი წყალი, რომ შიგთავსი ოდნავ დაფაროს, დაახურეთ ხუფი და ნელ ცეცხლზე ხარშეთ, (დაახლოებით ერთნახევარ-ორ საათს). მოხარშული ტოლმა დააწყეთ ლანგარზე, ზემოდან დაასხით გაწურული და გათქვეფილი მაწონი, მოაყარეთ დანაყილ დარიჩინთან ერთად არეული შაქრის ფქვილი (გემოვნებით).

პამიდორის საწებელი

მწიფე პამიდორი გარეცხეთ, დაჭერით, მოათავსეთ ქვაბში, დადგით ცეცხლზე და შესქელებამდე ხარშეთ. შემდეგ გადაიტანეთ თუშფალანგსა ან საცერში და გახეხეთ. მიღებულ მასაში შეურიეთ ერთად დანაყილი ქინძი, ნიორი და მარილი გემოვნებით.

რედაქტორი

ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488.